

សង្គមកម្ម សេវាសង្គមកម្មសេវា សេវាសង្គមកម្មសេវា សេវាសង្គមកម្មសេវា សេវាសង្គមកម្មសេវា

(សេវាសង្គមកម្មសេវា
សេវាសង្គមកម្មសេវា
សេវាសង្គមកម្មសេវា
សេវាសង្គមកម្មសេវា)



საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

საჯარო სამსახურებში
ავტოსატრანსპორტო საშუალებების
შეძენის წესი

(საქართველოში არსებული პრაქტიკა და
საერთაშორისო გამოცდილება)

თბილისი
2013

მომზადდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ “ღია საზოგადოების ფონდების” (OSF) - ფინანსური მხარდაჭერით.

გამოცემაზე პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მისი შინაარსი არ გამოხატავს დონორის ოფიციალურ პოზიციას.



ავტორი: **სალომე სალარაძე**
სოფიო ჭარაღი

რედაქტორი: **ხათუნა ყვირაღაშვილი**

ტექ. რედაქტორი: **ირაკლი სვანიძე**

გამოცემაზე პასუხისმგებელი: **ეკატერინე ფოფხაძე**
სულხან სალაძე

აიწყო და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.
ჯ. კახიძის ქ. 15 თბილისი 0102 საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01
ვებ-გვერდი: www.gyla.ge
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით,
ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. შესავალი	5
1.1. კვლევის შინაარსი და მიზნები	5
1.2. მეთოდოლოგია	5
1.3. დაბრკოლებები კვლევის მიმდინარეობისას	5
1.4. ძირითადი მიგნებები	6
2. ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენასთან დაკავშირებული სამართლებრივი ბაზა	7
2.1. კანონმდებლობა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ	7
2.2. საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“	8
2.3. საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტები	9
3. ადმინისტრაციული ორგანოები და უსასყიდლოდ გადაცემული და ჩუქების სახით მიღებული ავტოსატრანსპორტო საშუალებები	10
4. ადმინისტრაციული ორგანოები და შეძენილი ავტოსატრანსპორტო საშუალებები	10
საქართველოს პარლამენტი	11
საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	11
საქართველოს მთავრობის კანცელარია	11
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	11
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	12
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	12
საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	12
საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	13
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	13
საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო	13
საქართველოს სასაქელაღსრულებელ, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო	14
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	14
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	14

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	14
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო	15
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	15
საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო	15
საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	15
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	16
რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	16
საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში	16
დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	17
ქ.თბილისის მერია	17
ქ. თბილისის საკრებულოს აპარატი	17
ქ. ბათუმის მერია	18
თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულო	18
ქ. ქუთაისის მერია და საკრებულო	18
თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერია და საკრებულო	18
თვითმმართველი ქალაქის - ფოთის მერია	19
თვითმმართველი ქალაქის - ფოთის საკრებულო	19
5. საერთაშორისო გამოცდილება	19
5.1. ძირითადი პრინციპები	19
6. დასკვნა და რეკომენდაციები	23
7. REGULATIONS FOR PROCUREMENT OF MOTOR VEHICLES BY PUBLIC AGENCIES (SHORT VERSION)	31
8. დანართები	34

1. შესავალი

1.1. კვლევის შინაარსი და მიზნები

საჯარო დაწესებულებების მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენის თემა საკმაოდ ხშირად არის საზოგადოებისა და მედიის განხილვის და მწვავე კრიტიკის საგანი. მედია საშუალებები აქტიურად აქვეყნებენ ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, რომ საჯარო დაწესებულებები დიდ თანხებს ხარჯავენ ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენის მიზნით. მედიისავე ინფორმაციით, საჯარო მოხელეები არ ერიდებიან ძვირადღირებული ავტომანქანების სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე ყიდვას. მიუხედავად იმისა, რომ მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების მხრიდან პერიოდულად ე.წ. „ქაშაობის შემოჭერის“ შესახებ კეთდებოდა განცხადება,¹ რეალურად, ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები არ გადადგმულა.

წარმოდგენილ კვლევაზე მუშაობის დროს საიას მიზანს წარმოადგენდა იმის გარკვევა, თუ რა მდგომარეობა საჯარო დაწესებულებებში ამ მიმართულებით, რეალურად რა თანხები იხარჯება ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე და, გარდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონისა, არსებობს თუ არა რაიმე ტიპის სამართლებრივი რეგულაციები (მათ შორის, შიდა უწყებრივ დონეზე), რომლებიც დაკავშირებული იქნებოდა ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენასთან.

კვლევაში ასახულია ინფორმაცია საქართველოში არსებული საჯარო დაწესებულებების მიერ, როგორც შეძენილი, ისე ჩუქების სახით მიღებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესახებ.

კვლევაში ცალკე ადგილი ეთმობა ავტოსატრანსპორტო საშუალებების და ზოგად შესყიდვებთან დაკავშირებით არსებულ საერთაშორისო გამოცდილებას.

კვლევა მოიცავს 2011 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 17 ივნისამდე პერიოდს.²

1.2. მეთოდოლოგია

კვლევის მიზნების მისაღწევად მონიტორინგის ჯგუფმა საჯარო დაწესებულებებიდან გამოითხოვა შემდეგი სახის საჯარო ინფორმაცია:

1. საჯარო დაწესებულებაში 2011 წლის 1 იანვრიდან შეძენილი და ჩუქების სახით მიღებული ყველა ავტოსატრანსპორტო საშუალების ჩამონათვალი, შეძენის და ასევე ჩუქების თარიღისა და გადახდილი თანხის მითითებით;
2. საჯარო დაწესებულების მიერ მიღებული ყველა იმ სამართლებრივი აქტის ასლი, რომლის მიხედვითაც, კონკრეტულ დაწესებულებაში ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენის წესი განისაზღვრება.

კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე, მონიტორინგის ჯგუფმა შეისწავლა არა მარტო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში, არამედ ადგილობრივ თვითმმართველობებში არსებული მდგომარეობაც. ზემოაღნიშნული შინაარსით საჯარო ინფორმაცია მოთხოვნილ იქნა შემდეგი საჯარო დაწესებულებებიდან:

- საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია
- საქართველოს პარლამენტი
- საქართველოს მთავრობის კანცელარია
- საქართველოს ყველა სამინისტრო და სახელმწიფო მინისტრის აპარატი
- თვითმმართველი ქალაქები: თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ბათუმი და ფოთი

კვლევა ეფუძნება საქართველოში არსებული საკანონმდებლო ბაზის და საჯარო დაწესებულებების მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაციის ანალიზს, ხოლო საერთაშორისო გამოცდილებასთან დაკავშირებით - ვებ-რესურსებზე არსებულ ინფორმაციას.

1.3. დაბრკოლებები კვლევის მიმდინარეობისას

კვლევის მიმდინარეობისას ძირითად დაბრკოლებას წარმოადგენდა საჯარო დაწესებულებების მხრიდან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის მიზნით წარდგენილ განცხადებებზე არასრულყოფილი პასუხების

¹ <http://liberali.ge/ge/liberali/articles/112376/>; <http://www.youtube.com/watch?v=ENKmPo8hr70> სტუდია მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება „მეტი კომფორტი ხელისუფლებას“; <http://www.interpressnews.ge/ge/politika/254848-bidzina-ivanishvili-sakhelmtsifo-utsyebebis-avtoparkingze-kontrolia-datsesebuli-thumca-shedegebith-kmayofili-ar-var.html?ar=A>; <http://www.myvideo.ge/?act=dvr&chan=rustavi2hq&seekTime=02-10-2013%2011:47>

² საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შემთხვევაში, საანგარიშო პერიოდი მოიცავს 2011 წლის 1 იანვრიდან 08 აგვისტომდე პერიოდს, ხოლო საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის შემთხვევაში, 2011 წლის 1 იანვრიდან 12 აგვისტომდე პერიოდს.

გაცემა. შესაბამისად, რიგ შემთხვევებში, საიას დამატებით უწევდა განცხადებების წარდგენა. აღნიშნული გარემოება კი, თავისთავად, აბრკოლებდა კვლევის პროცესს, მოითხოვდა რა დამატებით დროსა და ძალისხმევას.

გარდა ამისა, საჯარო დაწესებულებების მხრიდან ადგილი ჰქონდა საიას მიერ წარდგენილი განცხადებების რეაგირების გარეშე დატოვებას. ამ მხრივ, განსაკუთრებით რთული იყო ინფორმაციის მოპოვება საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსგან.

ცალკე აღსანიშნავია რუსთავის საკრებულოს შემთხვევა. ქალაქ რუსთავის საკრებულო საიას განცხადებას 2013 წლის 29 მაისს გამოეხმაურა,³ სადაც აღნიშნული იყო, რომ თვითმმართველობის ავტოპარკი 2011 წლიდან განახლდა შკოდა-ოქტავიას მარკის ავტომობილებით. ამასთან დაკავშირებით, საკრებულომ საიას აცნობა, რომ აღნიშნული საკითხი გადაწყდა თვითმმართველობასა და სს „ლიბერთი ბანკს“ შორის დადებული ხელშეკრულებით და ინფორმაცია კომერციულ საიდუმლოებას წარმოადგენდა.

საიამ ადმინისტრაციული საჩივრით⁴ მიმართა რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარეს და მოითხოვა რუსთავის საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის კორესპონდენციის ბათილად ცნობა და საიას განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემა. საიას საჩივარი საკრებულოს თავმჯდომარემ 2013 წლის 3 ივლისის #5289 ბრძანებით დააკმაყოფილა.

შესაბამისად, ზემოთ აღნიშნული დაბრკოლებებიდან გამომდინარე, სასურველი საჯარო ინფორმაციის მოპოვების მიზნით, საია იძულებული გახდა, გამოეყენებინა მთელი რიგი სამართლებრივი ბერკეტები:

1. ქ.რუსთავის საკრებულოს შემთხვევაში, გამოყენებული იქნა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა.
2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შემთხვევაში, წარდგენილი იქნა დამატებითი განცხადება საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის თაობაზე და ასევე შედგენილ იქნა სასარჩელო განცხადება.
3. ქალაქ თბილისის მერიის შემთხვევაში, წარდგენილ იქნა დამატებითი განცხადება საჯარო ინფორმაციის სრულყოფილად გაცემის თაობაზე და, ასევე, შედგენილ იქნა სასარჩელო განცხადება.
4. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის შემთხვევაში, წარდგენილ იქნა დამატებითი განცხადება, გამოყენებულ იქნა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა და, ასევე, შედგენილ იქნა სასარჩელო განცხადება.

1.4. ძირითადი მიგნებები

საიას კვლევის შედეგად, რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტი გამოვლინდა:

- შესწავლილ საჯარო დაწესებულებებს არ აქვთ მიღებული სამართლებრივი აქტი, რომლითაც განსაზღვრული იქნებოდა ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენის წესი, გადასახდელი თანხის მაქსიმალური ოდენობა, ავტოპარკის განახლების წესი და ა.შ.
- საჯარო დაწესებულებების ნაწილი, შეძენის წესის შემთხვევაში, მიუთითებს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობაზე.⁵
- კვლევის სუბიექტების მიერ წარმოდგენილ იქნა ისეთი სამართლებრივი აქტები, რომლებიც არ არეგულირებს ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენის წესს. აღნიშნული აქტები მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორც არის საჯარო დაწესებულებაში ავტომობილების ზღვრული ოდენობა თანამდებობის მიხედვით, მათი გამოყენების წესი და სხვა, თუმცა, მათში არ არის ასახული რეგულაციები ავტოსატრანსპორტო საშუალების შესყიდვის შესახებ. ერთ შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოწოდებული მონაცემებით საერთოდ არ მოიძებნა მითითებული სამართლებრივი აქტი. მიუხედავად ამისა, მათი ინფორმაციით, სწორედ ეს აქტები წარმოადგენს ავტომობილების შეძენის საფუძველს.
- **2011 წლის იანვრიდან მონიტორინგის სუბიექტებმა 2146 ავტოსატრანსპორტო საშუალება შეისყიდეს, რომელთა ღირებულებამ ჯამში 61,439,788 ლარი, 16,545,081 დოლარი და 110,000 ევრო შეადგინა.**⁶
- კვლევის მიმდინარეობისას გამოვლინდა ძვირადღირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების

³ ქ.რუსთავის საკრებულოს აპარატის 2013 წლის 29 მაისის #1/3755 კორესპონდენცია.

⁴ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2013 წლის 5 ივნისის გ-05/70-13 ადმინისტრაციული საჩივარი.

⁵ საქართველოს პარლამენტი; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; თბილისის მერია.

⁶ აღსანიშნავია, რომ ჯამური თანხიდან 32,888,365 ლარის, 16,545,081 დოლარისა და 110,000 ევროს გახარჯვა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელდა.

უსასყიდლოდ და ჩუქების სახით გადაცემის ტენდენცია - იქნება ეს თავად საჯარო დაწესებულებებს შორის თუ ფიზიკურ და კერძო/საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსა და ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის განხორციელებული უსასყიდლო გადაცემა.

- საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, რომელიც კვლევის მონაწილე საჯარო დაწესებულებების ნაწილის მიერ მითითებულ იქნა სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების საფუძვლად, წარმოადგენს ზოგადი ხასიათის სამართლებრივ აქტს. კონკრეტული დანაწესების არარსებობის გამო, იგი ვერ უზრუნველყოფს ყველა იმ პრინციპის პრაქტიკაში რეალიზებას, რომელიც საკმაოდ მნიშვნელოვანია სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას. რაც შეეხება არსებულ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს, მათ მიერ რეგულირებული საკითხები არ არის ყოვლისმომცველი და, რიგ შემთხვევაში, კვლავ ვაწყდებით დეტალური წესების არარსებობის პრობლემას.
- საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით გამოვლინდა, რომ სახელმწიფო შესყიდვების მიზანშეწონილობისა და საბიუჯეტო შესაბამისობის მიღწევა, რომელიც ერთ-ერთ უმთავრეს ელემენტს წარმოადგენს საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი ხარჯვის უზრუნველსაყოფად, ხორციელდება შიდაორგანიზაციული სტრუქტურისა და რეგულაციების ფონზე. ჩატარებული კვლევის თანახმად კი, საქართველოში არსებული საჯარო დაწესებულებების უმრავლესობაში მსგავსი ტიპის სამართლებრივი დოკუმენტის მოძიება ვერ მოხერხდა.

2. ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენასთან დაკავშირებული სამართლებრივი ბაზა

კვლევის მომზადების დროს საიას ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენდა იმ სამართლებრივი ბაზის შესწავლა და ანალიზი, რომელიც საჯარო დაწესებულებების მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენის დროს გამოიყენება. შესაბამისად, წარმოდგენილი კვლევის წინამდებარე თავში სწორედ იმ სამართლებრივ აქტებზეა საუბარი, რომლითაც საქართველოში არსებული საჯარო დაწესებულებები ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენის პროცესში სარგებლობენ. ამასთან, საქართველოში არსებული სამართლებრივი ბაზის ანალიზი უაღრესად მნიშვნელოვანია იმ საერთაშორისო პრაქტიკასთან შედარებისთვის და პარალელების გასაველებად, რასაც ცალკე თავი ეთმობა კვლევაში.

2.1. კანონმდებლობა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი ნორმები მოცემულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში. აღნიშნული სამართლებრივი აქტი ადგენს შესყიდვების განხორციელების ზოგად სამართლებრივ, ორგანიზაციულ და ეკონომიკურ პრინციპებს. კანონის მე-3 მუხლი მოიცავს იმ ძირითადი პრინციპების ჩამონათვალს, რომელთა გათვალისწინებაც სავალდებულოა ნებისმიერი სახის შესყიდვის განხორციელებისას. მუხლის დანაწესის თანახმად, კანონის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის, ჯანსაღი კონკურენციის, სამართლიანი და არადისკრიმინაციული მოპყრობის, საჯაროობისა და საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბების უზრუნველყოფა. ერთი შეხედვით, არსებული ჩამონათვალი იძლევა სრულყოფილი რეგულირების განცდას, მაგრამ აღსანიშნავია, რომ სამართლებრივი აქტის შინაარსიდან გამომდინარე, არსად არ არის ნახსენები ისეთი უმთავრესი პრინციპები, როგორცაა ფულის ღირებულების საუკეთესოდ გამოყენების, ეკონომიკურად ყველაზე მომგებიანი შეთავაზების, რისკების მართვის, ეფექტური ზედამხედველობისა და სხვა პრინციპები, რომლებიც ფუნდამენტური მნიშვნელობის მატარებელია სახელმწიფო შესყიდვების პროცესში. რაც შეეხება იმის განმარტებას, თუ რა სახის შესყიდვები მოიაზრება სახელმწიფო შესყიდვების მნიშვნელობის ქვეშ, აღნიშნულის რეგულირებას ახდენს კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი. მუხლის დისპოზიციის თანახმად, ერთმნიშვნელოვნად დადგენილია, რომ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გამოყენებადი სახსრების წარმოშობა წარმოადგენს გადამწყვეტ ფაქტორს და არა - თავად დაწესებულების ორგანიზაციულ-სამართლებრივი მხარე. აღნიშნულ ნორმასთან მიმართებით საინტერესოა იმ სახელმწიფო შესყიდვების ჩამონათვლის მოხმობა,⁷ რომლებიც არ ხვდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედების სფეროში. აღსანიშნავია, რომ სამართლებრივი აქტის თავდაპირველი რედაქციიდან დღემდე არსებული ჩამონათვალი საგრძნობლად გაიზარდა, რაც თავისთავად არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს დადებით ფაქტად. მსგავსი საგამონაკლისო ნორმები, ისევე როგორც კონკრეტული შიდა რეგულაციების არარსებობა, წარმოადგენს სამართლებრივ ჩარჩოებში მოხვედრისგან თავის არიდების მცდელობას, რაც შედეგად გამჭვირვალობის, საჯაროობისა და საბიუჯეტო სახსრების მიზანმიმართულ ხარჯვაზე კონტროლის მექანიზმის შემცირებას იწვევს.

სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული კანონმდებლობა, იქნება ეს კანონი თუ კანონქვემდებარე

⁷ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-3¹ ქვეპუნქტი.

აქტები, თავისი შინაარსის გათვალისწინებით, ძირითადად ორიენტირებულია შესყიდვის ფორმის არჩევასა და ელექტრონული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე. სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემა ცალსახად წარმოადგენს ინოვაციურ მექანიზმს, რომლის გამართული ფუნქციონირება ქმნის საჯაროობისა და კონკურენტუნარიანი გარემოს არსებობის გარანტს, მაგრამ აქვე აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო შესყიდვების პროცესის ცალკეული საფეხურები, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სათანადო რეგულირების გარეშეა დარჩენილი. უპირველეს ყოვლისა, ძალიან მნიშვნელოვანია შევხებით ისეთ საკითხს, როგორც სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შემუშავება წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ შესყიდვების გეგმის შედგენის ვალდებულებას იცნობს როგორც „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი,⁸ ასევე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #2 ბრძანება,⁹ მაგრამ, როგორც ერთი, ისე მეორე სამართლებრივი დოკუმენტის შემთხვევაში არსებული დანაწესები არ არის ყოვლისმომცველი. შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავებისას გასათვალისწინებელი კომპონენტების ჩამონათვალი არის ზოგადი ხასიათის, იძლევა ინტერპრეტირების საშუალებას და, შესაბამისად, ვერ გახდება სახელმწიფო სახსრების ხარჯვის მიზანშეწონილობის მიღწევის საშუალება. რაც შეეხება შესყიდვების გეგმის სარეგისტრაციო სისტემას,¹⁰ რომელიც წარმოადგენს შესყიდვების ელექტრონული სისტემის ნაწილს, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ იგი უბრალოდ უკვე არსებული გეგმის სისტემაში ატვირთვის მექანიზმია და არ განსაზღვრავს ისეთ მნიშვნელოვან დეტალებს, როგორცაა განსახორციელებელი შესყიდვის მიზანი, საჭიროება, საბიუჯეტო შესაბამისობა, მოსალოდნელი სარგებელი და სხვა.

კვლევამ ასევე გამოავლინა, რომ საქართველოს კანონმდებლობის რეგულირების გარეშეა დარჩენილი შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხები: გეგმით გათვალისწინებული შესყიდვის განხორციელება, შესაძლო კრიტერიუმები, გარემოებები და, ასევე, ისეთი დეტალები, როგორცაა შესყიდვის საჭიროების, რაციონალურობის, საბიუჯეტო შესაბამისობის დადგენის მექანიზმი, სათანადო ფორმები და სხვა. ყოველივე აღნიშნული კი, თავისთავად აჩენს ეჭვს, თუ რამდენად შესაძლებელია, სრულად იქნეს მიღწეული „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ისეთი პირობა, რომელიც საჯარო დაწესებულებას ავალდებულებს, „რაციონალურად და საქართველოს სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით განახორციელოს შესყიდვები მისთვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში.“ ამ ფონზე, სადავოა, თუ როგორ უნდა დადგინდეს, თუნდაც იგივე ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენის შემთხვევაში, საჯარო დაწესებულების მხრიდან ადგილი აქვს თუ არა საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად ხარჯვას, მაშინ როდესაც არ არსებობს პროცესის მარეგულირებელი კონკრეტული დანაწესები.

ასევე, არანაკლებ მნიშვნელოვანია საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისათვის დადგენილი სტანდარტები. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ტენდერში გამარჯვებულის გამოვლენის მთავარი კრიტერიუმი დაბალი ფასია.¹¹ თუმცა, შესყიდვის პროცესში სათანადო მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს არა მხოლოდ ტენდერის მონაწილის მიერ შემოთავაზებულ ფასს, არამედ ისეთ კომპონენტებსაც, როგორცაა: ხელშეკრულების საგნის ხარისხი, ტექნიკური მახასიათებლები, ესთეტიკური და ფუნქციური თვისებები, მისი ფუნქციონირების ხარჯები, შესყიდვის შემდგომი ტექნიკური მომსახურების ხარჯები, მიწოდების თარიღი და სხვა, რაც შესაძლებლობას იძლევა, გადაწყვეტილება მიღებულ იქნეს ეკონომიკურად ყველაზე მომგებიანი შემოთავაზების სასარგებლოდ და მოხდეს საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვა.

შესყიდვის კანონმდებლობასთან ზემოთ მოყვანილი გარემოებები, რომლებიც ასევე შეიძლება განხილულ იქნეს ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებით, კიდევ უფრო ზრდის ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენის პროცესში გარკვეული სახის ჩარჩო და შიდა რეგულაციების არსებობის აუცილებლობას.

2.2. საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“

საიას მიერ ჩატარებული კვლევის მიმდინარეობისას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენის წესის განმსაზღვრელ სამართლებრივ აქტად, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონთან ერთად, მითითებულ იქნა „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონიც. აღნიშნული სამართლებრივი აქტი აწესრიგებს სახელმწიფო ქონების მართვასთან, განკარგვასა და სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. მისი რეგულირების სფეროში ხვდება ისეთი საკითხები, როგორცაა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავ/მოძრავი ქონების განკარგვა, პრივატიზება, დროებით სარგებლობაში გადაცემა და სხვა. კანონის შინაარსიდან გამომდინარე,

⁸ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლი.

⁹ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის ბრძანება #2, მე-4 მუხლი.

¹⁰ ePLAN.

¹¹ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის ბრძანება #9, მე-12 მუხლი.

შესაძლებელია ცალსახად ითქვას, რომ იგი არათუ არ შეიცავს ავტოსატრანსპორტო საშუალებების შექმნის მარეგულირებელ კონკრეტულ წესებს, არამედ არ მოიცავს ზოგადად სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისათვის საჭირო დეტალურ დანაწესებს. შესაბამისად, საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“ ვერ გახდება საჯარო დაწესებულების მიერ განხორციელებული კონკრეტული შესყიდვის სამართლებრივი საფუძველი და საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივად ხარჯვის გარანტი.

2.3. საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული კანონმდებლობის გაანალიზებისას, საინტერესო იქნება საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული იმ ტიპის სამართლებრივი აქტების მიმოხილვა, რომლებიც საჯარო დაწესებულებების მხრიდან ავტოსატრანსპორტო საშუალებების შექმნასთან არის დაკავშირებული. კვლევის მიმდინარეობისას, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისა და საქართველოს მთავრობის კანცელარიიდან საიას მიერ გამოთხოვილ იქნა საჯარო ინფორმაცია,¹² რომელიც პრეზიდენტის და მთავრობის მიერ საქართველოში არსებულ სამინისტროებსა და სხვა საჯარო დაწესებულებებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების შექმნასთან დაკავშირებით მიღებულ სამართლებრივ აქტებს შეეხებოდა.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული კორესპონდენციის თანახმად,¹³ საიას შევითხვას საკმაოდ ზოგადი პასუხი გაცა. წერილის მიხედვით, ადმინისტრაცია ავტოსატრანსპორტო საშუალებების შექმნისას ხელმძღვანელობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით. ამასთან დაკავშირებით, საიამ დამატებითი განცხადებით მიმართა ადმინისტრაციას, თუმცა, განცხადება დღემდე რეაგირების გარეშეა დარჩენილი. შესაბამისად, უცნობია არსებობს თუ არა საქართველოს პრეზიდენტის მიერ მიღებული კონკრეტული წესების დამდგენი რაიმე სახის სამართლებრივი აქტი, რომელიც საქართველოში არსებულ სამინისტროებსა და სხვა საჯარო დაწესებულებებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების შექმნის წესებს არეგულირებს.

საქართველოს მთავრობის კანცელარიის მიერ გამოგზავნილი კორესპონდენციის თანახმად კი, ცნობილი გახდა, რომ საქართველოს მთავრობის მიერ არ არის მიღებული რაიმე ტიპის სამართლებრივი აქტი, რომელიც საქართველოში არსებულ სამინისტროებსა და სხვა საჯარო დაწესებულებების მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალებების შექმნასთან შეიძლება იყოს დაკავშირებული.¹⁴

კვლევის მიმდინარეობისას ერთობ საინტერესო იყო ქალაქ ფოთის საკრებულოს პოზიცია. განსხვავებით მონიტორინგს დაქვემდებარებული სხვა საჯარო დაწესებულებებისაგან, რომლებიც შესყიდვების განხორციელების ძირითად საფუძველად „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონს ასახელებდნენ, თვითმმართველი ქალაქის მიერ სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელ სახელმძღვანელო სამართლებრივ აქტად პრეზიდენტის 2000 წლის 11 აგვისტოს #364 ბრძანებულება „სამსახურებრივი ავტომანქანების გამოყენების წესის შესახებ“ იქნა მითითებული. ბრძანებულების გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია:

1. იმ თანამდებობათა ჩამონათვალი, რომელთაც სამსახურებრივი სარგებლობისათვის მოემსახურებათ პერსონალური მსუბუქი ავტომანქანები;
2. საქართველოს სამინისტროებისა და სახელმწიფო დეპარტამენტების ცენტრალური აპარატებისათვის სამსახურებრივი მიმოსვლისათვის მსუბუქი ავტომობილების ზღვრული ოდენობის განსაზღვრის ნორმატივი.

შესაბამისად, ცალსახაა, რომ ზემოაღნიშნული სამართლებრივი აქტი არ შეიძლება განხილულ იქნეს ისეთი სახის რეგულაციად, რომელიც სრულად შეესაბამება კვლევის მიზნებს და რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესყიდვების რეგულირება ყველა საჭირო ასპექტის გათვალისწინებით. მაგრამ ამასთანავე აღსანიშნავია, რომ თანამდებობათა ჩამონათვალი და თითოეული სამინისტროსთვის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ზღვრული ოდენობის დადგენა თავისთავად წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს გარემოებას, რომლის გათვალისწინებაც მიზანშეწონილი იქნებოდა სამომავლოდ მსგავსი ტიპის შესყიდვების განხორციელებისას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული კანონის, კანონქვემდებარე აქტებისა და შიდაორგანიზაციული ხასიათის სამართლებრივი მდგომარეობის გაცნობის შედეგად, შესაძლებელია ცალსახად ითქვას, რომ საკანონმდებლო ბაზა, რომელიც არცთუ სრულყოფილია, საჭიროებს მოდიფიცირებასა და, რიგ შემთხვევაში, დამატებით დეტალურ რეგულირებას, რისი მიღწევის მიზნითაც, კვლევის შესაბამის თავში შემუშავებული იქნება სათანადო რეკომენდაციები.

¹² საიას 2013 წლის 15 ივლისის #გ-04/300-13 და #გ-04/301-13 განცხადებები.

¹³ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 20 აგვისტოს #15/173; 15/205 წერილი.

¹⁴ საქართველოს მთავრობის კანცელარიის 2013 წლის 26 ივლისის #24962 წერილი.

3. ადმინისტრაციული ორგანოები და უსასყიდლოდ გადაცემული და ჩუქების სახით მიღებული ავტოსატრანსპორტო საშუალებები

საიას მიერ ჩატარებული კვლევის მიმდინარეობისას, საჯარო ინფორმაცია გამოთხოვნილ იქნა როგორც შეძენილი, ისე ჩუქების სახით მიღებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესახებ. გარდა შესყიდვებთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობისა, რომელსაც კვლევის უმთავრესი ნაწილი დაეთმო, უნდა აღინიშნოს ჩუქების კუთხით ჩამოყალიბებული პრაქტიკა, რომელიც ინფორმაციის მოძიების პროცესში ეტაპობრივად გახდა საიასთვის ცნობილი და, ვფიქრობთ, არაერთ საინტერესო ტენდენციაზე მიუთითებს, რომელსაც გასულ წლებში ჰქონდა საქართველოში ადგილი.

სხვადასხვა საჯარო დაწესებულებიდან მიღებულ კორესპონდენციაზე დაყრდნობით, უმთავრესად იკვეთება ავტოსატრანსპორტო საშუალებების უსასყიდლოდ გადაცემის ორი შემთხვევა:

1. ავტოსატრანსპორტო საშუალებათა უსასყიდლოდ გადაცემა ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის - ასეთ არაერთ ფაქტს შეხვდებით კვლევის გაცნობისას,¹⁵ მაგრამ მათ შორის განსაკუთრებით მასშტაბური საქართველოს მთავრობის კანცელარიის შემთხვევაა. ადმინისტრაციულმა ორგანომ საანგარიშო პერიოდში ჩუქების სახით 2,883,400 ლარის ღირებულების 54 ავტოსატრანსპორტო საშუალება მიიღო, რომელთა უმრავლესობაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამართლებრივი აქტის საფუძველზეა გადმოცემული. ასევე აღსანიშნავია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მაჩვენებელიც - საჯარო დაწესებულებამ საანგარიშო პერიოდში 3,114,259 ლარის ღირებულების 75 ავტოსატრანსპორტო საშუალება შეისყიდა, რომელთაგან მხოლოდ 5 ირიცხება სამინისტროს ბალანსზე, ხოლო 70 გადაცემულ იქნა უსასყიდლოდ.

2. სამართალურთიერთობა, რომლის ერთ მხარეს წარმოადგენენ ფიზიკური ან კერძო/საჯარო სამართლის იურიდიული პირები, ხოლო მეორე მხარეს - ადმინისტრაციული ორგანოები - აღნიშნულთან დაკავშირებით, გამორჩეულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მაჩვენებელი. საჯარო დაწესებულებას, საანგარიშო პერიოდში, უსასყიდლოდ 87 ავტოსატრანსპორტო საშუალება გადაეცა, რომელთა ღირებულებამ 2,865,860 ლარი და 627,854 დოლარი შეადგინა. გარდა შთამბეჭდავი ციფრისა, ცალსახად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ, უმრავლეს შემთხვევაში, სამართალურთიერთობის მონაწილე მეორე მხარეს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირები წარმოადგენდნენ.

ზემოთ მოყვანილი ორივე შემთხვევა საინტერესოა თავისი შინაარსით. საჯარო დაწესებულებებს შორის განხორციელებული უსასყიდლო გადაცემის დროს ყურადსაღებია სახელმწიფო შესყიდვებისთვის დამახასიათებელი ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტის - საჭიროების მაჩვენებლის ნაკლებობა. მაშინ, როდესაც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ შეძენილი ავტოსატრანსპორტო საშუალებების დიდი ნაწილი, გაურკვეველ მიზეზთა გამო, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს გადაეცემა, ეს ცალსახად მეტყველებს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვის საჭიროებისა და მიზანშეწონილობის დაბალ ხარისხზე. რაც შეეხება ფიზიკურ და კერძო/საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, აღნიშნულ შემთხვევაში ერთობ საინტერესოა ლეგიტიმური მიზნის არარსებობა, რომელიც შესაძლებელია წარმოადგენდეს კონკრეტული პირის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების საჯარო დაწესებულებისათვის გადაცემის საფუძველს. ამასთანავე, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ მსგავსი სახის ტრანზაქციების უმეტესი ნაწილი შინაგან საქმეთა სამინისტროს შემთხვევაში იქნა განხორციელებული, ცხადია ეს დამატებით ეჭვებს ბადებს.

4. ადმინისტრაციული ორგანოები და შეძენილი ავტოსატრანსპორტო საშუალებები

საიამ განცხადებით მიმართა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას, საქართველოს მთავრობის კანცელარიას, საქართველოს პარლამენტის აპარატს, საქართველოს სამინისტროებს და სახელმწიფო მინისტრის აპარატებს, ასევე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს და მოითხოვა მათ მიერ მიღებული ყველა იმ სამართლებრივი აქტის ასლი, რომლის მიხედვითაც ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენის წესი განისაზღვრება; ასევე, მათ მიერ 2011 წლის 1 იანვრიდან შეძენილი და ჩუქების სახით მიღებული ყველა ავტოსატრანსპორტო საშუალების ჩამონათვალი, შეძენის და ჩუქების თარიღისა და გადახდილი თანხის მითითებით. შესაბამისად, ქვემოთ წარმოდგენილია ინფორმაცია იმ თითოეული საჯარო დაწესებულების შესახებ, რომლებიც კვლევის მსვლელობის დროს იქნა შესწავლილი.

ამასთან, წინამდებარე კვლევას დაერთვის დეტალური ინფორმაცია თითოეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ შეძენილი და ჩუქების სახით მიღებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესახებ.

¹⁵ ავტოსატრანსპორტო საშუალებების ჩუქების სახით გადაცემასთან დაკავშირებით, დეტალური ინფორმაციის გაცნობით მიზნით, იხ. დანართი - თითოეული საჯარო დაწესებულების შემთხვევაში შედგენილი შესაბამისი ცხრილი.

საქართველოს პარლამენტი

პარლამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით,¹⁶ პარლამენტის აპარატს 2011 წელს არ შეუძენია ავტოსატრანსპორტო საშუალება.

2012 წლის 20 დეკემბერს პარლამენტმა, დელეგაციების მიღების უზრუნველსაყოფად, „ფოლკსვაგენ პასატის“ მარკის სამი ავტომობილი შეისყიდა, რომელთა ჯამურმა ღირებულებამ 141,660 ლარი შეადგინა.

სამივე შემთხვევაში, პარლამენტმა განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების სამართლებრივ საფუძვლად მხოლოდ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონი მიუთითა.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია საიას განცხადებას მხოლოდ სასარჩელო განცხადების წარდგენის შემდეგ, 2013 წლის 24 სექტემბერს გამოუხმაურა.¹⁷ მოწოდებული კორესპონდენციის თანახმად ირკვევა, რომ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ 2011 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 24 სექტემბრამდე შეძენილ იქნა 1,258,821 ლარის ღირებულების 23 ავტოსატრანსპორტო საშუალება. ამასთან, წერილში აღნიშნულია, რომ ადმინისტრაციის მიერ ჩუქების სახით ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიღება არ ფიქსირდება.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენის სამართლებრივ საფუძვლად საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა იქნა მითითებული.

საქართველოს მთავრობის კანცელარია

მთავრობის კანცელარიამ, მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, საანგარიშო პერიოდში¹⁸ 1,172,182 ლარის ღირებულების 19 ავტოსატრანსპორტო საშუალება შეისყიდა. მათ შორის, 6 ავტომობილი შეიძინა 2011 წელს, ხოლო 13 - 2012 წელს. მთავრობის კანცელარიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კანცელარიამ ყველაზე ძვირადღირებული ავტომობილი 2012 წლის 3 სექტემბერს შეიძინა და „ტოიოტა ლექსუსი LX570“ მარკის ავტომობილში 169,014 ლარი გადაიხადა. ჩუქების სახით მიიღო 2,883,400 ლარის ღირებულების 54 ავტოსატრანსპორტო საშუალება. აქედან, 1 ა/მანქანა მიიღო 2011 წელს, 41 ა/მანქანა - 2012 წელს, ხოლო 12 ა/მანქანა - 2013 წელს.

ამავე წერილში მთავრობის კანცელარიამ მიუთითა, რომ სამართლებრივი აქტი ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენის წესის განსაზღვრის თაობაზე არ აქვს და ასეთი შესყიდვები რეგულირდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად,¹⁹ 2011 წლის 1 იანვრიდან 08 აგვისტოს ჩათვლით სამინისტრომ შეისყიდა 1411 ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომელთა საერთო ღირებულება შეადგენდა 32,888,365 ლარს, 16,545,081 დოლარსა და 110,000 ევროს. მათ შორის, ყველაზე ძვირადღირებული ავტომობილი სამინისტროს მიერ შეძენილი იქნა 2012 წლის 09 ივლისს, 110,000 ევროს ღირებულების Mercedes-Benz 500 L 4MATIC BlueEFFICIE. .

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩუქების სახით გადაეცა 87 ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომელთა ღირებულება შეადგენდა 2,865,860 ლარს და 627,854 დოლარს.

ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენის სამართლებრივ საფუძვლად სამინისტროს მიერ მითითებულ იქნა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონები.

¹⁶ საქართველოს პარლამენტის აპარატის 2013 წლის 23 მაისის #169/2-4 კორესპონდენცია.

¹⁷ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის 2013 წლის 24 სექტემბრის #15/174; 15/220 კორესპონდენცია.

¹⁸ საქართველოს მთავრობის კანცელარიის 2013 წლის 26 ივნისის #22029 კორესპონდენცია. საანგარიშო პერიოდი: 2011 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 26 ივნისის ჩათვლით.

¹⁹ შინაგან საქმეთა სამინისტროს 2013 წლის 08 აგვისტოს #1559171 კორესპონდენცია.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილის თანახმად,²⁰ სამინისტრომ შესყიდვის და ჩუქების სახით 1,417,047 ლარის ღირებულების 22 ავტოსატრანსპორტო საშუალება მიიღო.

1,176,973 ლარის ღირებულების 16 ავტოსატრანსპორტო საშუალება სამინისტრომ შეისყიდა სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის შესაბამისად, აქედან, 1 - გადაეცა პრეზიდენტის ადმინისტრაციას, 2 - თავდაცვის სამინისტროს.²¹

უსასყიდლოდ მიღებული 6 ავტოსატრანსპორტო საშუალებიდან 2 ავტომობილი სამინისტროს გადაეცა სსიპ სოციალური პროექტების განმახორციელებელი ცენტრის რეორგანიზაციის შედეგად.²² 2 ავტომობილი გადაეცა სსიპ ჯანმრთელობის დაზღვევის მედიაციის სამსახურის მიერ,²³ რომელიც 2011 წლის 12 დეკემბერს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის #01-226/ო ბრძანებით გადაეცა სსიპ სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტოს.

1 ავტომობილი სამინისტრომ მიიღო სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან. აღნიშნულის საფუძველად მითითებულია 2012 წლის 5 მაისის მიღება-ჩაბარების აქტი.

1 ავტომობილი 2013 წლის 8 თებერვალს სამინისტრომ მიიღო საქართველოს დასაქმების სამინისტროს ლიკვიდაციის შედეგად.

სამინისტროს წერილის მიხედვით, იგი ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემენისას ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით.

შესაბამისად, სამინისტროში არ არსებობს ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემენის განმსაზღვრელი კონკრეტული შიდა რეგულაციები.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ფინანსთა სამინისტროს 2013 წლის 3 ივნისის წერილის მიხედვით,²⁴ საანგარიშო პერიოდში სამინისტროს მიერ შესყიდულია 3,114,259 ლარის ღირებულების 75 ავტოსატრანსპორტო საშუალება, აქედან 70 ავტოსატრანსპორტო საშუალება სამინისტროს მიერ გადაცემულია უსასყიდლოდ, ხოლო 5 ა/მანქანა კვლავ ირიცხება ფინანსთა სამინისტროს ბალანსზე.

სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ჩუქების სახით მიღებული 2,111,152 ლარის ღირებულების 112 ავტოსატრანსპორტო საშუალებიდან:²⁵ 10 ა/მანქანა ირიცხება ფინანსთა სამინისტროს ბალანსზე, 84 - ჩანაცვლებულია, 5 - სამინისტროს მიერ გაყიდულია აუქციონის წესით, 8 - გადაცემულია განსაკარგავად, 5 - გადაცემულია უსასყიდლოდ.

სამინისტროს წერილში ნათქვამია, რომ ავტომანქანების შესყიდვა განხორციელებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თუმცა, სამინისტროს არაფერი უთქვამს იმის შესახებ, არსებობს თუ არა რაიმე სახის დამატებითი შიდა რეგულაცია, რომელიც სამინისტროს მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემენის კონკრეტულ წესებთან იქნება დაკავშირებული.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ საიასთვის მოწოდებულ წერილში²⁶ აღნიშნა, რომ 612,697 ლარის ღირებულების 9 ავტომანქანა შეისყიდა, ხოლო 229,391 ლარის ღირებულების 9

²⁰ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2013 წლის 24 მაისის #01/45901 კორესპონდენცია.

²¹ საფუძველად მითითებულია შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებები: 2012 წლის 9 ოქტომბრის #01-293/ო და 2012 წლის 3 სექტემბრის #01-253/ო ბრძანება.

²² სამინისტროს წერილის მიხედვით, ამის საფუძველს წარმოადგენდა საქართველოს მთავრობის დადგენილება #102 25.02.2011წ. და საქ. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება #01-15/ო 16.03.2011წ.

²³ სამინისტროს წერილის მიხედვით, ამის საფუძველს წარმოადგენდა სსიპ ჯანმრთელობის დაზღვევის მედიაციის სამსახურის დირექტორის ბრძანება #10-38/ო 02.12.2011წ.

²⁴ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2013 წლის 3 ივნისის #01-02/42660 კორესპონდენცია.

²⁵ სამინისტროსთვის ავტოსატრანსპორტო საშუალებების უსასყიდლოდ გადამოცემ პირებს წარმოადგენენ: საგამომიებო სამსახური; საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო; სახაზინო სამსახური; სსიპ შემოსავლების სამსახური; სსიპ მომსახურების სააგენტო; შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“; შპს „მერკური კაპიტალი“.

²⁶ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს 2013 წლის 31 მაისის #06/1633 კორესპონდენცია.

ავტოსატრანსპორტო საშუალება უსასყიდლოდ მიიღო. აქედან, 2 უსასყიდლოდ მიიღო ფინანსთა სამინისტროსგან, 4 - სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრისგან, 1 - სსიპ საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდისგან, 1 - სსიპ საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლისგან, 1 - კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტისგან.

ამასთან, წერილში აღნიშნულია, რომ სამინისტროში ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენის წესის განმსაზღვრელი სამართლებრივი აქტი არ არსებობს.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის²⁷ თანახმად, სამინისტრომ 119,290 ლარის ღირებულების 4 ავტომობილი შეისყიდა, ხოლო 190,895 ლარის ღირებულების 4 ავტომობილი გადაეცა სარგებლობაში.²⁸

სამინისტრო აღნიშნულ წერილში ასევე მიუთითებს, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენის წესი განისაზღვრება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონით და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებებით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2013 წლის 31 მაისის წერილის მიხედვით,²⁹ სამინისტროს მიერ საანგარიშო პერიოდში შეძენილია 388,629 ლარის ღირებულების 17 ავტოსატრანსპორტო საშუალება. მათ შორის, 2 ავტომობილი 2012 წლის 10 დეკემბერსა (კია სერატო) და ამავე წლის 2 თებერვალს (ფოლკსვაგენ პასატი) იქნა შესყიდული.

ამასთან, სამინისტრომ წერილში აღნიშნა, რომ მას არ მიუღია სამართლებრივი აქტი, რომლითაც განისაზღვრებოდა სამინისტროში ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენის წესი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

სოფლის მეურნეობის სამინისტროს წერილის მიხედვით,³⁰ სამინისტრომ შეისყიდა 3,740,900 ლარის ღირებულების 79 ავტოსატრანსპორტო საშუალება. აქედან 57 ა/მანქანა სამინისტრომ 2013 წლის მარტის თვეში შეიძინა.

233,846 ლარის ღირებულების 16 ავტოსატრანსპორტო საშუალება მიიღო შესყიდვის გარეშე, აქედან 8 ავტომობილი მიიღო უსასყიდლოდ.³¹ ხოლო 8 - სსიპ მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის ლიკვიდაციის შედეგად.

სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენის წესის განსაზღვრის მიზნით, სამინისტროს არ აქვს მიღებული რაიმე სახის სამართლებრივი აქტი და ზემოაღნიშნულ შესყიდვებს ახორციელებს სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაბამისად.³²

²⁷ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2013 წლის 24 მაისის #333 კორესპონდენცია.

²⁸ 3 ავტომობილი გადაეცა სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მიერ, გადაცემის საფუძვლად სამინისტროს წერილში მითითებულია „სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 1-ლი ოქტომბრის #302 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი; ხოლო 1 ავტომობილი სამინისტროს სარგებლობაში გადაეცა გარეთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროექტის „საქართველოში შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად დაზიანებული ტყის ეკოსისტემის აღდგენა“ ფარგლებში.

²⁹ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2013 წლის 31 მაისის #198148 კორესპონდენცია.

³⁰ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2013 წლის 30 მაისის #01-09-09/3363 კორესპონდენცია.

³¹ სამინისტროს წერილის მიხედვით, უსასყიდლოდ მიღების წყაროს წარმოადგენენ: სსიპ მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი; სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო; გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო; შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტო; სამეგრელოს გუბერნატორის ადმინისტრაცია; სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო.

³² სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2013 წლის 4 ივლისის #01-09-09/3925 კორესპონდენცია.

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის³³ მიხედვით, სამინისტრომ საანგარიშო პერიოდში შეიძინა 369,650 ლარის ღირებულების 9 ავტოსატრანსპორტო საშუალება, აქედან, 7 ა/მანქანა ძველი ავტომანქანების ჩანაცვლებით წესით შეიძინა, ხოლო 717,761 ლარის ღირებულების 15 ავტოსატრანსპორტო საშუალება მიიღო უსასყიდლოდ (2 ა/მანქანა ბალანსიდან ბალანსზე სამინისტროს გადმოეცა არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოსგან, ხოლო დანარჩენი 13 - სასჯელაღსრულების დეპარტამენტისგან).

სამინისტროს წერილის მიხედვით, ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენა 2011 წელს აქტიურად ხორციელდებოდა, ძირითადად, „შკოდა ოქტავიას“ მარკის ავტომობილებით; ხოლო, 2012-2013 წლებში უსასყიდლოდ მიღებული ავტოსატრანსპორტო საშუალებები ჭარბობს.

ამავე წერილის თანახმად, სამინისტროში ავტოსატრანსპორტო საშუალების შეძენის წესს განსაზღვრავს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი. შესაბამისად, სამინისტროში ამ საკითხთან დაკავშირებით რაიმე შიდა რეგულაცია არ არსებობს.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

საგარეო საქმეთა სამინისტროს 2013 წლის 5 ივნისის წერილის მიხედვით,³⁴ სამინისტრომ საანგარიშო პერიოდში ჩანაცვლების წესით შეიძინა 546,254 ლარის ღირებულების 9 ავტოსატრანსპორტო საშუალება.

ამავე წერილში სამინისტრომ საიას აცნობა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული არ არის ავტოსატრანსპორტო საშუალების შეძენის წესი.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2013 წლის 3 ივნისის წერილის მიხედვით,³⁵ საანგარიშო პერიოდში სამინისტრომ შეიძინა 709,380 ლარის ღირებულების 15 ა/მანქანა. მათ შორის, 2 ა/მანქანა შეისყიდა 2013 წლის მაისში, ხოლო 3 ერთეული ჩუქების სახით გადაეცა შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისი“-სგან.³⁶

ამავე წერილის თანახმად, სამინისტროში ავტოსატრანსპორტო საშუალებების წესს არეგულირებს საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 22 ოქტომბრის #9 ბრძანება „სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული საშუალებით განხორციელების შესახებ დროებითი წესის დამტკიცების შესახებ“.

შესაბამისად, სამინისტროში ამ საკითხის შიდა მარეგულირებელი რაიმე აქტი არ არსებობს.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს კორესპონდენციის მიხედვით,³⁷ სამინისტროს საანგარიშო პერიოდში, შეძენისა და ჩუქების სახით, მიღებული აქვს 726,862 ლარის ღირებულების 30 ავტოსატრანსპორტო საშუალება.

სამინისტრო წერილში³⁸ აღნიშნავს, რომ 378,806 ლარის ღირებულების 11 ა/მანქანა შეისყიდა გაცვლით, აქედან, ერთი - 2013 წლის აპრილში; 6 ა/მანქანა გადაეცა უსასყიდლოდ (გაიცვალა); 11 გადაეცა უსასყიდლოდ; ხოლო ერთი ა/მანქანა გადაეცა სსიპ იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა თემის განვითარების ცენტრის ლიკვიდაციის შემდეგ.

³³ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს 2013 წლის 7 ივნისის #62911/01 კორესპონდენცია.

³⁴ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2013 წლის 5 ივნისის #01/22303 კორესპონდენცია.

³⁵ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2013 წლის 3 ივნისის #2615/გ კორესპონდენცია.

³⁶ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2013 წლის 8 ივლისის #3194/გ კორესპონდენცია.

³⁷ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2013 წლის 31 მაისის #06-06/35272 კორესპონდენცია; 2011 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 1 ივლისამდე.

³⁸ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2013 წლის 1 ივლისის #06-06/38273 კორესპონდენცია.

ამავე წერილში სამინისტრო აღნიშნავს, რომ ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში სამსახურებრივი ავტომანქანების გამოყენების წესი რეგულირდება საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის #255 განკარგულებით. მთავრობის კანცლარის ინფორმაციით,³⁹ ასეთი მონაცემებით განკარგულება არ იძებნება. შესაბამისად, ბუნდოვანი და გაუგებარია, რა სამართლებრივი აქტით ხელმძღვანელობს სამინისტრო ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენის დროს.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ საიასთვის მოწოდებულ წერილში⁴⁰ აღნიშნა, რომ 2012 წლის პირველ კვარტალში შეისყიდა 202,722 ლარის ღირებულების 4 ავტოსატრანსპორტო საშუალება, აქედან: 3 - „ჰიუნდაი სონატას“ და 1 - „ტოიოტა ლენდ კრუიზერის“ მარკის ავტომობილები.

ამავე წერილის მიხედვით, სამინისტროს მიერ ნებისმიერი შესყიდვის განხორციელების წესი განისაზღვრება საქართველოს კანონით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

იუსტიციის სამინისტროს მიერ საიასთვის მოწოდებული ინფორმაციის⁴¹ თანახმად, საანგარიშო პერიოდში სამინისტრომ 43 ავტოსატრანსპორტო საშუალება შეიძინა, რაშიც გადახდილმა თანხამ 1,286,620 ლარი შეადგინა. აქედან, 12 ავტომობილი შეისყიდა 2012 წლის ნოემბერ-დეკემბრის და 2013 წლის ივნისის თვეში, რომლებშიც 502,638 ლარი გადაიხადა.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ იუსტიციის სამინისტროს გადასცა 472,071 ლარის ღირებულების 7 ავტომობილი.

იუსტიციის სამინისტრომ წერილში აღნიშნა, რომ მის მიერ ფიზიკური და იურიდიული პირებისგან ავტოსატრანსპორტო საშუალებების ჩუქების გზით მიღება არ განხორციელებულა.

ამავე წერილის მიხედვით, სამინისტროს მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენა ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით.

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

ენერგეტიკის სამინისტროს კორესპონდენციის⁴² მიხედვით, სამინისტროს მიერ 2013 წლის 2 მაისს შესყიდულ იქნა 78,500 ლარის ღირებულების ორი ავტოსატრანსპორტო საშუალება.

2 ავტომობილი სამინისტროს გადაეცა სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უფროსის ბრძანების საფუძველზე, სააგენტოს ბალანსიდან.⁴³ კიდევ ერთი ავტომობილი ფინანსთა სამინისტრომ საკუთარი ბალანსიდან გადასცა ენერგეტიკის სამინისტროს, ხოლო 4 ა/მანქანა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ბალანსიდან გადაეცა.

შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“ (1 ა/მანქანა) და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულმა ოპერატორმა“ (6 ა/მანქანა) ენერგეტიკის სამინისტროსთან გააფორმა ჩუქების ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც სამინისტროს აღნიშნული ავტომანქანები უსასყიდლოდ გადაეცა.

ამასთან, ენერგეტიკის სამინისტრომ წერილში⁴⁴ აღნიშნა, რომ სამინისტროში ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენის წესი შიდა სამართლებრივი აქტით განსაზღვრული არ არის.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

თავდაცვის სამინისტროს 2013 წლის 17 ივნისის წერილით,⁴⁵ საიას მოაწოდა ინფორმაცია 2011-2012 წლებში უსასყიდლოდ გადაცემული საავტომობილო ტექნიკის შესახებ. აღნიშნული წერილის თანახმად,

³⁹ საქართველოს მთავრობის კანცლარის 2013 წლის 26 ივნისის #22029 კორესპონდენცია.

⁴⁰ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2013 წლის 5 ივნისის #04/11-2271 კორესპონდენცია.

⁴¹ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2013 წლის 10 ივნისის #59244 კორესპონდენცია.

⁴² საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს 2013 წლის 27 მაისის #06/2648 კორესპონდენცია.

⁴³ სსიპ ბუნებრივი რესურსების 2012 წლის 10 სექტემბრის #13 394 ბრძანება.

⁴⁴ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს 2013 წლის 26 ივნისის #06/3112 კორესპონდენცია.

⁴⁵ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2013 წლის 17 ივნისის #7/2355 კორესპონდენცია.

სამინისტრომ 7 ავტოსატრანსპორტო საშუალება მიიღო უსასყიდლოდ, უვადო სარგებლობით შპს „იბერია ტექ ავტომოტივი“-სგან და „ტოიოტა ცენტრი თბილისი“-სგან, ხოლო 2 ავტომობილი გადაეცა ჩუქების ხელშეკრულებით ფიზიკური პირების - ლევან გვენეტაძისა და არჩილ გუნთაიშვილისაგან.

ამასთან, სამინისტრო წერილში აღნიშნავს, რომ იგი სატრანსპორტო საშუალებების შესყიდვისას ხელმძღვანელობს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ნორმებით.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წერილის⁴⁶ მიხედვით, 2011 წლის დეკემბერში სამინისტრომ შპს „კია მოტორს ჯორჯიასგან“ შეისყიდა 28,000 ლარის ღირებულების ა/მანქანა KIA CERATO.

ამავე წერილის თანახმად, სამინისტრომ 56 ავტოსატრანსპორტო საშუალება მიიღო უსასყიდლოდ.

შესყიდვის საფუძველში სამინისტრომ მხოლოდ გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შესახებ მიუთითა (№SPA110032189). შესაბამისად, მათ არ მიუღიათ სამართლებრივი აქტი, რომლითაც, ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესყიდვის რეგულაციებს განსაზღვრავენ.

რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ მოწოდებული ინფორმაციით,⁴⁷ სახელმწიფო მინისტრის აპარატს ჩუქების სახით არც ერთი ავტოსატრანსპორტო საშუალება არ მიუღია.

აღნიშნული კორესპონდენციის თანახმად, სახელმწიფო მინისტრის აპარატმა 2011 წელს 149,550 ლარის ღირებულების 2 ა/მანქანა შეიძინა - HONDA CRV 2.4 და „ტოიოტა ლენდ კრუიზერ 200“.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ ამავე წერილში დანართის სახით წარმოდგენილი იყო აპარატის მიერ მიღებული იმ სამართლებრივი აქტების ასლები, რომლითაც, მათი წერილის თანახმად, აპარატში ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენის წესი განისაზღვრება:

- ხელშეკრულება გაფორმებული მიმწოდებელთან;
- მიღება-ჩაბარების აქტი;
- საქართველოს მთავრობის განკარგულება, რომლის მიხედვითაც, აპარატის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფის მიზნით, ფინანსთა სამინისტროს დაევალა მთავრობის სარეზერვო ფონდიდან სახელმწიფო მინისტრის აპარატისთვის 130,000 ლარის გამოყოფა.⁴⁸
- მოხსენებითი ბარათი.

თუმცა, აღნიშნული აქტების ანალიზმა აჩვენა, რომ ისინი არ ასახავენ რეგულირების კონკრეტულ წესს სამინისტროში. შესაბამისად, სახელმწიფო მინისტრის აპარატში არ არსებობს ასეთი საკითხის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში

სახელმწიფო მინისტრის აპარატის 2013 წლის 30 მაისის წერილის⁴⁹ მიხედვით, აპარატის მიერ 2011 წელს შესყიდულ იქნა 121,211 ლარის ღირებულების 1 ავტომობილი.

უსასყიდლოდ ავტომანქანები სამინისტროს გადაეცა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 2011 წლის 15 იანვრის #50 ბრძანებით, დაცვის სამსახურის ბალანსიდან; აგრეთვე - საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიერ;⁵⁰ შემოსავლების სამსახურის მიერ, მისი 2012 წლის 9 ნოემბრის #24112 ბრძანების საფუძველზე; ასევე - თავდაცვის სამინისტროს მიერ, სახელმწიფო მინისტრის აპარატის 2012 წლის 24 დეკემბრის წერილის საფუძველზე.⁵¹

⁴⁶ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2013 წლის 24 მაისის #08/3870 კორესპონდენცია.

⁴⁷ რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის 2013 წლის 24 მაისის #4-11/515 კორესპონდენცია.

⁴⁸ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 18 თებერვლის #2263 განკარგულება „რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისათვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“.

⁴⁹ ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის 2013 წლის 30 მაისის 01/1248 კორესპონდენცია.

⁵⁰ საგარეო საქმეთა მინისტრის 2012 წლის 9 ნოემბრის #280 ბრძანება.

⁵¹ თავდაცვის მინისტრის 2012 წლის 26 დეკემბრის #1023 ბრძანება.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინფორმაციით, ასეთი შესყიდვის განხორციელების მიზნით, მას ცალკე სამართლებრივი აქტი გამოცემული არ აქვს და აცხადებს, რომ იგი ხელმძღვანელობს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით.⁵²

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ საიასთვის მოწოდებული ინფორმაციის⁵³ თანახმად, სახელმწიფო მინისტრის აპარატმა საანგარიშო პერიოდში შეიძინა 91,810 ლარის ღირებულების 2 ავტოსატრანსპორტო საშუალება, ხოლო 1 ავტომობილი გადაეცა უსასყიდლოდ საქართველოს მთავრობის კანცელარიისგან, საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის 2013 წლის 8 თებერვლის #45 ბრძანების შესაბამისად.⁵⁴

ამავე წერილის მიხედვით, სახელმწიფო მინისტრის აპარატში ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენის წესი რაიმე სამართლებრივი აქტით განსაზღვრული არ არის.

ქ.თბილისის მერია

ქ.თბილისის მერიის 2013 წლის 5 ივნისის წერილის მიხედვით, საანგარიშო პერიოდში⁵⁵ მერიის მიერ შესყიდულ იქნა 6,069,432 ლარის ღირებულების 283 ავტომანქანა.

მათი დიდი უმრავლესობა - 95.8% - KIA-ს მარკის ავტომობილებია.

2011 წელს თბილისის მერიამ 247 ა/მანქანა (87.3%) შეისყიდა; 2012 წელს - 22 (7,8%), ხოლო 2013 წელს - 14 (4.9%).⁵⁶

მერია ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესყიდვებს ახორციელებს სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობით.

თბილისის მერიას არ გაუცია ინფორმაცია თითოეულ ავტომობილში გადახდილი თანხის ოდენობის შესახებ. ამ თემასთან დაკავშირებით, საია დღემდე აგრძელებს დავას სასამართლოში.

ქ. თბილისის საკრებულოს აპარატი

ქ.თბილისის საკრებულო საიას განცხადებას 2013 წლის 24 მაისს გამოეხმაურა.⁵⁷ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საკრებულოსადმი ჩუქების ფორმით ავტომანქანების გადაცემას ადგილი არ ჰქონია. საანგარიშო პერიოდში საკრებულომ შეიძინა 690,816 ლარის ღირებულების 22 ავტოსატრანსპორტო საშუალება, აქედან 17 - ძველი ავტომანქანების ჩანაცვლებით შეიძინა, მათ შორის, 2 ავტომობილი საკრებულომ 2013 წლის იანვარში შეისყიდა.

საკრებულომ საიას მიაწოდა ქალაქ თბილისის საკრებულოს 2008 წლის 15 ოქტომბრის #70 დადგენილება „ქ.თბილისის საკრებულოსა და საკრებულოს აპარატში სამსახურებრივი ავტომანქანების გამოყენების შესახებ“. აღნიშნული დადგენილება არეგულირებს საკრებულოს აპარატის სამსახურებრივი ავტომანქანების გამოყენების წესს, მათ ზღვრულ ოდენობას საშტატო ერთეულის პროპორციულად, ერთი მსუბუქი ავტომანქანისთვის გამოყოფილი ყოველთვიური საწვავის ლიმიტს და საწვავის გაცემის უწყისის ფორმას. თუმცა, იგი მოიცავს საკრებულოში უკვე არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების გამოყენების და არა - ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენის წესს.

შესაბამისად, თბილისის საკრებულოში არ არსებობს ავტოსატრანსპორტო საშუალების შეძენის შიდა რეგულირების განმსაზღვრელი რაიმე სამართლებრივი აქტი.

⁵² ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის 2013 წლის 8 ივლისის #01/1345 კორესპონდენცია

⁵³ დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის 2013 წლის 28 მაისის #01-10/373 კორესპონდენცია.

⁵⁴ დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის 2013 წლის 27 ივნისის #01-10/438 კორესპონდენცია.

⁵⁵ ქ.თბილისის მერიის 2013 წლის 5 ივნისის #11/56798.7 კორესპონდენცია; 2011 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 6 ივნისამდე.

⁵⁶ ქალაქ თბილისის მერიის 2013 წლის 2 ივლისის #11/1317776-17 კორესპონდენცია.

⁵⁷ ქ.თბილისის საკრებულოს აპარატის 2013 წლის 24 მაისის #07/2082 კორესპონდენცია.

ქალაქ ბათუმის მერია

ქალაქ ბათუმის მერიის 2013 წლის 27 მაისის წერილის მიხედვით,⁵⁸ მერიას ოთხი ავტოსატრანსპორტო საშუალება მიღებული აქვს უსასყიდლოდ, ხოლო 1,615,799 ლარის ღირებულების 13 ავტოსატრანსპორტო საშუალება - შესყიდვის წესით. აქედან, ორი ა/მანქანა ქალაქ ბათუმის მერიის მიერ გადაეცა ქ.ბათუმის საკრებულოს, ერთი - შინაგან საქმეთა სამინისტროს, 3 ა/მანქანა - ა(ა)იპ ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახურს, ხოლო ერთი - შპს „სანდასუფთავებას“.

ამავე წერილში შენიშვნის სახით მითითებულია, რომ აღნიშნულ პერიოდში ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენის საფუძველს წარმოადგენდა ქ.ბათუმის მერიის წლიური შესყიდვების გეგმა და შესაბამისი სატენდერო დოკუმენტაცია.

ბათუმის მერიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, კონკრეტული აქტი, რომლითაც მოხდებოდა მერიაში ავტოსატრანსპორტო საშუალებების შიდა რეგულირება, არ მიღებულა.

თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულო

ქალაქ ბათუმის საკრებულოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით,⁵⁹ საკრებულომ 2011 წლის 1 იანვრიდან შეისყიდა 100,200 ლარის ღირებულების სამი ავტომანქანა, მათ შორის, ერთი - 2013 წელს, ხოლო 60,000 ლარის ღირებულების 2 ავტომანქანა გადაეცა უსასყიდლოდ ბათუმის მერიის ბალანსიდან.

ქ.ბათუმის საკრებულომ ასევე აღნიშნა, რომ საკრებულოში ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენა რეგულირდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით, ხოლო საკრებულოს რაიმე სახის შიდა მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი არ მიუღია.

ქ. ქუთაისის მერია და საკრებულო

ქალაქ ქუთაისის მერიის მიერ მოწოდებული ინფორმაციით,⁶⁰ მერიასა და საკრებულოს მიერ შესყიდულ იქნა 1,583,570 ლარის ღირებულების 15 ავტოსატრანსპორტო საშუალება, ხოლო უსასყიდლოდ გადაეცა 188,050 ლარის ღირებულების 3 ა/მანქანა.⁶¹

ამავე წერილში აღნიშნულია, რომ შეძენის წესი განისაზღვრება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერია და საკრებულო

ქალაქ რუსთავის მერიამ და საკრებულომ საიას განცხადებას 2013 წლის 30 მაისის და 2013 წლის 10 ივლისის წერილებით უპასუხა.⁶² მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, თვითმმართველობამ საანგარიშო პერიოდში 2,064,575 ლარის ღირებულების 24 ავტოსატრანსპორტო საშუალება შეისყიდა.

შესწავლილ საჯარო დაწესებულებებს შორის ყველაზე ძვირი, „ლენდ როუვერ რეინჯროუვერის“ მარკის მსუბუქი ავტომობილი თვითმმართველობამ 2011 წელს შეისყიდა და მისმა ღირებულებამ 173,100 ლარი შეადგინა.

საანგარიშო პერიოდში ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე გახარჯული თანხის 72% (1,487,581 ლარი) 2011 წელზე მოდის. 2012 წელს მერიამ 150,178 ლარი დახარჯა (7%), ხოლო 2013 წელს შეისყიდა „კომპაქტორი“ - 426,815 ლარის ღირებულების (21%).

ქალაქ რუსთავის მერიისა და საკრებულოს წერილის მიხედვით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსგან დამატებითი ქონების სახით გადაეცა 16,200 ლარის ღირებულების 2 ავტომობილი, ხოლო 1,300 ლარის ღირებულების 1 ავტომობილი, ჩუქების სახით, მიიღეს შპს „ქალაქგანათებისგან“.

ამავე წერილში აღნიშნულია, რომ თვითმმართველობას არ მოეპოვება სამართლებრივი აქტი, რომლითაც ქალაქ რუსთავის მერიასა და საკრებულოში ავტოსატრანსპორტო საშუალების შეძენის წესი განისაზღვრება.

⁵⁸ ქალაქ ბათუმის მერიის ადმინისტრაციის 2013 წლის 27 მაისის #04-04/14249 კორესპონდენცია.

⁵⁹ ქ.ბათუმის საკრებულოს 2013 წლის 24 მაისის #562 კორესპონდენცია.

⁶⁰ ქ.ქუთაისის მერიის 2013 წლის 30 მაისის #01-3804/ს-163 კორესპონდენცია.

⁶¹ ქ.ქუთაისის მერიასა და საკრებულოს ქ.ქუთაისის მერიის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ავტომანქანები უსასყიდლოდ გადაეცა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსგან, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოსგან.

⁶² ქ.რუსთავის მერიის ადმინისტრაციის 2013 წლის 30 მაისის #1/3832 კორესპონდენცია; ქ.რუსთავის საკრებულოს 2013 წლის 10 ივლისის #1/4923 კორესპონდენცია.

თვითმმართველი ქალაქის - ფოთის მერია

ქალაქ ფოთის მერიის 2013 წლის 29 მაისის წერილის თანახმად,⁶³ მერიის მიერ საანგარიშო პერიოდში შეძენილია 221,370 ლარის ღირებულების 4 ავტოსატრანსპორტო საშუალება.

ამავე წერილში მერიამ აღნიშნა, რომ შეძენის წესი რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და მასზე რაიმე დამატებითი დოკუმენტი მერიის მიერ მიღებული არ არის.

თვითმმართველი ქალაქის - ფოთის საკრებულო

ქალაქ ფოთის საკრებულოს კორესპონდენციის⁶⁴ მიხედვით, საკრებულომ „ავტოსატრანსპორტო საშუალების გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის“ შესაბამისად, შეისყიდა 54,600 ლარის ღირებულების VOLKSWAGEN passat-ის მარკის ერთი ავტომობილი.

ამავე წერილის თანახმად, საკრებულო შეძენის წესის განსაზღვრის დროს ხელმძღვანელობს პრეზიდენტის 2000 წლის 11 აგვისტოს #364 ბრძანებულებით „სამსახურებრივი ავტომანქანების გამოყენების წესის შესახებ“.

აღნიშნული ბრძანებულებით განსაზღვრულია იმ თანამდებობათა ჩამონათვალი, რომელთაც სამსახურებრივი სარგებლობისათვის პერსონალური მსუბუქი ავტომანქანები მოემსახურებათ, ასევე, ამ ავტომობილების გარდა, დადგენილია სამინისტროებისა და ცენტრალური აპარატებისთვის ავტომობილების ზღვრული ოდენობა.⁶⁵

ზემოაღნიშნულ დოკუმენტში არ არის ასახული ნორმები, რომლითაც მოხდებოდა ავტომობილების შესყიდვის დარეგულირება. ნორმების არსებობაში მონიტორინგის ჯგუფი გულისხმობს შიდა რეგულაციებს, რომლითაც განსაზღვრული იქნებოდა ისეთი სპეციფიკური საკითხები, როგორცაა ფასი, შეძენის პერიოდულობა, მიზნობრიობა, საჭიროება და ა.შ.

5. საერთაშორისო გამოცდილება

სახელმწიფო შესყიდვა, რომელიც დაკავშირებულია საჯარო დაწესებულებების მხრიდან საბიუჯეტო სახსრების განკარგვასთან, მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. საერთაშორისო კვლევებზე დაყრდნობით, მსოფლიოს მასშტაბით სახელმწიფო შესყიდვების წილი ერთიან შიდა პროდუქტთან მიმართებით 10-15%-ს უტოლდება.⁶⁶ შესაბამისად, ეფექტური სისტემის არსებობა წარმოადგენს საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი და რაციონალური ხარჯვის უმთავრეს გარანტს.

2004 წელს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (შემდგომში: OECD) მიერ გამართულმა საერთაშორისო ფორუმმა ცხადყო მონაწილე სახელმწიფოების მხრიდან დამატებითი ზომების მიღების საჭიროება ანტიკორუფციული სახელმწიფო შესყიდვების სისტემის ჩამოყალიბების თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო შესყიდვების ისეთი სტადია, როგორცაა **სახელმწიფო შესყიდვების საჭიროების შეფასება**, მიჩნეულ იქნა ერთ-ერთ ყველაზე დაუცველ რგოლად პოლიტიკური ჩარევის კუთხით. მიზეზად კი დასახელდა ის ფაქტორი, რომ აღნიშნული ეტაპი, როგორც წესი, არ არის რეგულირებული სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისი კანონმდებლობით და დაბალია საჯაროობის მაჩვენებელიც. ყოველივე ამის ფონზე, 2009 წელს OECD-მა გამოაქვეყნა კვლევა,⁶⁷ რომლის თანახმად, განისაზღვრა ძირითადი პრინციპები,⁶⁸ რომელთა გათვალისწინებაც რეკომენდირებულია სახელმწიფო შესყიდვების პროცესის მიმდინარეობისას და ჩამოყალიბდა მათი პრაქტიკაში რეალიზების შესაძლო გზები.

5.1. ძირითადი პრინციპები

OECD-ის ანგარიშის თანახმად, პრინციპები დაჯგუფებულია შინაარსისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით და მიზნად ისახავს დაინტერესებული სახელმწიფოების ხელშეწყობას, მოახდინონ წარმატებული პოლიტიკის გატარება ეფექტური და ანტიკორუფციული სახელმწიფო შესყიდვების სისტემის ჩამოყალიბების კუთხით.

⁶³ ქ.ფოთის მერიის 2013 წლის 29 მაისის #1-031634 კორესპონდენცია.

⁶⁴ ქ.ფოთის საკრებულოს 2013 წლის 29 მაისის #2-08/1032 კორესპონდენცია.

⁶⁵ https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=113392&lang=ge#

⁶⁶ OECD Principles for Integrity in Public Procurement, 2009, გვ.9.

⁶⁷ OECD Principles for Integrity in Public Procurement, 2009.

⁶⁸ აღნიშნული პრინციპები შეესაბამება ევროკავშირის მიერ დადგენილ პრინციპებსაც, როგორცაა: საჯაროობა, თანასწორობა, პროპორციულობა, არადისკრიმინაციული მოპყრობა, ფულის ღირებულების საუკეთესოდ გამოყენება და ა.შ.

საჯაროობა⁶⁹ - აღნიშნული პრინციპის თანახმად, საჯარო დაწესებულებას ეკისრება ვალდებულება, შესყიდვების მთელი პროცესის მანძილზე უზრუნველყოს სათანადო ხარისხის გამჭვირვალობა, რომელიც მიზნად ისახავს სავარაუდო მიმწოდებელთა მიმართ სამართლიან და თანასწორ მოპყრობას. საჯაროობის მიღწევის მიზნით, საჭიროა ხელმისაწვდომი იყოს ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული კანონმდებლობის, რეგულაციების, სასამართლო და ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების, სტანდარტული ხელშეკრულების ფორმებისა და ყველა იმ პროცედურის თაობაზე, რომელიც საფუძვლად უდევს კონკრეტული შესყიდვის განხორციელებას. თანმიმდევრულად და დროულად უნდა ხორციელდებოდეს მოსალოდნელი სახელმწიფო შესყიდვების თაობაზე ინფორმაციის გავრცელება. ამასთანავე, სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის პირობები, როგორცაა მიმწოდებლის შერჩევისა და ხელშეკრულების დადების შესაძლო კრიტერიუმები, ასევე, განცხადებების მიღების ბოლო დღე, უნდა გამოქვეყნდეს წინასწარ ისე, რომ დაინტერესებულ პირებს ჰქონდეთ გონივრული ვადა საჭირო დოკუმენტაციის შეგროვებისა და მომზადებისათვის.

საჯაროობის მიღწევის გზას წარმოადგენს ასევე სახელმწიფო შესყიდვების მთელი პროცესის მანძილზე არსებული ყველა სახის გადაწყვეტილების გაფორმება დოკუმენტურად და მათი ადვილად ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. საჭიროა, მოხდეს მსგავსი ტიპის დოკუმენტაციის შენახვა გარკვეული დროის მანძილზე, რაც შემდგომში მიღებული გადაწყვეტილებების მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის კუთხით შემოწმებას შეუწყობს ხელს.

ფულის ღირებულების საუკეთესოდ გამოყენება⁷⁰ - აღნიშნული პრინციპის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას, უზრუნველყოფილი უნდა იყოს საბიუჯეტო სახსრების გამოყენება დადგენილი მიზნებისთვის. ფულის ღირებულების საუკეთესოდ გამოყენების პრინციპი მნიშვნელოვანია სახელმწიფო შესყიდვების როგორც საწყის, ისე დასკვნით სტადიაზე.

ძირითადი ხარვეზები, რომლებიც სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვისა და მართვის პროცესში გამოვლინდა, იმაში მდგომარეობს, რომ ხშირ შემთხვევაში ვერ ხდება საჭიროების კომპონენტისა და არსებული ფინანსების სათანადოდ შეფასება. სწორედ აქედან გამომდინარე, შემოღებულ იქნა სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის კრიტერიუმი. სახელმწიფო შესყიდვების გეგმა, როგორც წესი, ყოველწლიური ხასიათისაა და მოიცავს იმ საჭიროების დეტალურ აღწერას, რომელიც კონკრეტულ საჯარო დაწესებულებას გააჩნია. იმის გათვალისწინებით, რომ ყველა სახელმწიფო შესყიდვა უნდა განხორციელდეს არსებული გეგმისა და ბიუჯეტის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვები განიხილება ფინანსური მმართველობის განყოფილებლ ნაწილად. სწორედ ზემოთ ხსენებული გეგმის საფუძველზე მიიღწევა ბიუჯეტის თანმიმდევრული და პროგნოზირებადი განკარგვა, ყველა იმ საბიუჯეტო ხარჯის წინასწარ გათვლით, რომელთა გამოყენებაც სავარაუდოა მთელი ფისკალური წლის მანძილზე.

აქვე აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო შესყიდვების საჭიროებისა და საბიუჯეტო შესაბამისობის შეფასება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შედგენისას, არამედ ყველა კონკრეტული შესყიდვის განხორციელებისას. გამომდინარე იქიდან, რომ თითქმის არც ერთი ქვეყნის საკანონმდებლო აქტი არ შეიცავს რეგულირებას, თუ როგორ უნდა მოხდეს აღნიშნული კომპონენტების განსაზღვრა, სასურველი შედეგის მიღწევა ხორციელდება შიდაორგანიზაციული ინსტრუქციების, ეფექტური სტრუქტურული სისტემისა და სათანადო საზედამხედველო ორგანოების არსებობის შედეგად.

ეფექტური სტრუქტურული სისტემის ჩამოყალიბებისათვის საჭიროა, რომ საჯარო დაწესებულებაში ერთმანეთისგანცალსახადგამიჯნულიიყოსკონკრეტულისახელმწიფოშესყიდვისშემთხვევაშისაჭიროებისა და საბიუჯეტო შესაბამისობის დადგენასა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი პირები/დეპარტამენტები. მათი საქმიანობა უნდა წარიმართოს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, რისი მიღწევის საშუალებას, კვლევის თანახმად, პასუხისმგებლობათა ჯაჭვის ჩამოყალიბება წარმოადგენს. აღნიშნული მიზნის განხორციელებისათვის საჭიროა ცალსახად განისაზღვროს სახელმწიფო შესყიდვების პროცესში ჩართული თითოეული პირის უფლებამოსილების ფარგლები, იქნება ეს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვაზე თანხმობის გამცემი თუ თავად შესყიდვების მიზანშეწონილობის ეტაპზე პასუხისმგებელი პირი. სახელმწიფო შესყიდვებისსაწყისიეტაპისათვისდამახასიათებელიყველაპროცედურისრეგულირებისათვის, გონივრულია, არსებობდეს შიდა ინსტრუქცია, რომლითაც: დეტალურად განისაზღვრება თითოეული თანამშრომლის უფლებამოსილება, საჭირო ცოდნა, გამოცდილება, შესაბამისი ფინანსური ლიმიტები, კონკრეტული სახელმწიფო შესყიდვის შემთხვევაში, გადაწყვეტილების მისაღებად გასავლელი ყველა ეტაპი, დამტკიცდება შესაბამისი ფორმები და, ასევე, დაწესდება ვალდებულება, დოკუმენტურად გაფორმდეს ყველა ის ქმედება, რომლის განხორციელებაც მოხდება პროცესის მიმდინარეობისას. აღნიშნულის მაგალითად

⁶⁹ OECD Principles for Integrity in Public Procurement, 2009, გვ. 18-24,

⁷⁰ OECD Principles for Integrity in Public Procurement, 2009, გვ. 18-21, 27-33.

შესაძლებელია მოხმობილ იქნეს ინგლისისა⁷¹ და ირლანდიის⁷² სახელმწიფო შესყიდვების სამართლებრივი რეგულირება, რომლის თანახმადაც, გარდა ევროკავშირის დირექტივისა, რომელიც იმპლემენტირებულია შიდა კანონმდებლობაში, არსებობს ზოგადი ხასიათის ინსტრუქციები, რომლებიც შეიცავს სახელმწიფო შესყიდვების თითოეული ეტაპისათვის დამახასიათებელ კონკრეტულ წესებს. აქვე გასათვალისწინებელია, რომ მიუხედავად ზოგადი ინსტრუქციისა, ასევე არსებობს შიდა ხასიათის რეგულაციები, რომლებიც სხვადასხვა ყველა საჯარო დაწესებულების შემთხვევაში და ემსახურება ეფექტური შიდა სტრუქტურის ჩამოყალიბებასა და ყველა საჭირო პროცედურის დეტალურ აღწერას.

ფულის ღირებულების საუკეთესოდ გამოყენების პრინციპი კიდევ ერთხელ იჩენს თავს სახელმწიფო შესყიდვების ისეთ დასკვნით სტადიაზე, როგორცაა საბოლოო ხელშეკრულების გაფორმება. ევროკავშირის დირექტივის⁷³ 53-ე მუხლი ადგენს კრიტერიუმებს, რის საფუძველზეც საჯარო დაწესებულებამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება სამომავლო მიმწოდებელთან ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე. აღნიშნული მუხლის თანახმად, დადგენილია ორი ძირითადი მოთხოვნა, რომლიდანაც ერთ-ერთი გათვალისწინებული უნდა იყოს გადაწყვეტილების მიღებისას:

1. ეკონომიკურად ყველაზე მომგებიანი - რაც გულისხმობს, რომ არსებულ კანდიდატებს შორის არჩეულ უნდა იქნეს ტენდერის ის მონაწილე, რომლის მიერ შემოთავაზებული საქონელი, სამუშაო თუ მომსახურება ყველაზე მომგებიანია ეკონომიკური თვალსაზრისით საჯარო დაწესებულებისათვის. ეკონომიკურად მომგებიანი შესაძლებელია განისაზღვროს რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით, როგორცაა ხელშეკრულების საგნის ხარისხი, ფასი, ტექნიკური მახასიათებლები, ესთეტიკური და ფუნქციური თვისებები, მისი ფუნქციონირების ხარჯები, შესყიდვის შემდგომი ტექნიკური მომსახურების ხარჯები, მიწოდების თარიღი და სხვა;
2. არსებულ ფასებს შორის ყველაზე დაბალი ფასი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცალსახაა, რომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებულ არა მხოლოდ ხელშეკრულების საგნის ფასი, არამედ ყველა ის ფაქტორი, რომელსაც კონკრეტული სახელმწიფო შესყიდვის შემთხვევაში შეიძლება გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს იმ მიზნის მისაღწევად, რომელიც დასახული აქვს საჯარო დაწესებულებას.

რისკების მართვა⁷⁴ - პრინციპი ემსახურება საჯარო დაწესებულებაში არსებული კორუფციის გამოვლენასა და მის სამომავლო პრევენციას. კვლევის თანახმად, ხშირია სახელმწიფო შესყიდვების პროცესში ჩართულ მოხელეებზე პოლიტიკური ზემოქმედების შემთხვევები. შესაბამისად, იმისათვის, რომ აღმოიფხვრას მსგავსი პრაქტიკა, საჭიროა, პირველ რიგში, განისაზღვროს სახელმწიფო შესყიდვების მთელი სისტემისათვის დამახასიათებელი ის პოზიციები და საქმიანობები, რომლებთან მიმართებითაც ყველაზე მაღალია მსგავსი რისკების წარმოშობის ალბათობა. შემდგომ კი, მიზანშეწონილია, შეიქმნას ისეთი ინსტიტუციური და პროცედურული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს უფლებამოსილი პირების მიერ მათზე დაკისრებული ვალდებულების დაუბრკოლებლად და ყოველგვარი ჩარევის გარეშე განხორციელებას. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია უფლებამოსილებათა დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით. საჭიროა, რომ სახელმწიფო შესყიდვების პროცესის უმთავრესი სფეროები არ იყოს ერთი პირის მმართველობას დაქვემდებარებული. გადაწყვეტილების მიღებისას ორი ან მეტი პირის ჩართულობა, რაც შესაძლებელია გამოხატული იყოს ორმაგ ხელმოწერებში, ჯვარედინ შემოწმებასა და გადაწყვეტილების გადახედვის მექანიზმის არსებობაში, თავისთავად, წარმოადგენს კორუფციის აღმოფხვრის ერთ-ერთ საშუალებას.

ყველაზე მარტივი გზა უფლებამოსილებათა დანაწილების მისაღწევად არის ის, რომ სახელმწიფო შესყიდვების პროცედურის გარკვეული ნაწილების განკარგვა შედიოდეს ცალკე საბიუჯეტო, მმართველობით და ადმინისტრაციული ოფისების კომპეტენციაში. რეკომენდირებულია, რომ მათ შორის არსებობდეს ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლის ეფექტური მექანიზმი და, თითოეული შესყიდვის შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიღება ხდებოდეს ყველა არსებული დეპარტამენტის აქტიური ჩართულობის ფონზე. თუმცა, ამასთანავე გასათვალისწინებელია, რომ საჯარო დაწესებულებაში არსებული სტრუქტურა უნდა იყოს მაქსიმალურად პრაქტიკული გამოყენების, რადგან თავიდან იქნეს აცილებული ხელოვნურად გართულებული პროცედურების არსებობა, რომელმაც შესაძლებელია საპირისპირო შედეგამდე კი მიგვიყვანოს. აქვე აღსანიშნავია, რომ საჭიროა არსებობდეს შესაბამისი უფლებამოსილი პირების მიერ განხორციელებული ქმედებების მონიტორინგი და სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის მიერ დადგენილი წესებიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში - შესაბამისი რეაგირების მექანიზმი. ასევე მიზანშეწონილია, საჯარო დაწესებულებაში შეიქმნას შიდა საჩივრების წიგნი, ცხელი ხაზი ან ელექტრონული

⁷¹ http://www.ncvo-vol.org.uk/commissioning/procurement/legal_framework#who

⁷² <http://www.mondaq.com/x/215998/Government+Contracts+Procurement+PPP/A+Guide+to+Public+Procurement+in+Ireland+2013>.

⁷³ Directive 2004/18/EC on the coordination of procedures for the award of public works contracts, public supply contracts and public service contracts.

⁷⁴ OECD Principles for Integrity in Public Procurement, 2009, გვ. 18-21, 33-41.

პორტალი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება ანონიმური განაცხადების გაკეთება კონკრეტული პირის მიერ ჩადენილ გადაცდომასთან დაკავშირებით, რაც კიდევ უფრო ეფექტურს გახდის კორუფციული ქმედების გამოვლენასა და მის შემდგომ პრევენციას.

ეფექტური კონტროლი⁷⁵ - პრინციპის მიზანია უზრუნველყოს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის მიერ დადგენილი წესების თანმიმდევრული შესრულება. კვლევის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვების მართვაზე მონიტორინგი უნდა ხორციელდებოდეს როგორც შიდა, ისე გარე აუდიტის მიერ. ეფექტური შედეგის მისაღწევად, მიზანშეწონილია, არსებობდეს შიდა აუდიტის ორი სახე: ფინანსური აუდიტი და მოხელეთა მიერ განხორციელებული ქმედებების მაკონტროლებელი აუდიტი. მაშინ, როდესაც ფინანსური აუდიტი მონიტორინგს გაუწევს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შესაბამისობას დადგენილ წესებთან, ქმედების მაკონტროლებელი აუდიტი დაადგენს, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების შედეგად მოხდა თუ არა საჯარო დაწესებულების მიერ დასახული მიზნების მიღწევა. რაც შეეხება გარე აუდიტს, მის უმთავრეს ფუნქციას შიდა აუდიტის ქმედების ეფექტურობის შეფასება უნდა წარმოადგენდეს. აქვე აღსანიშნავია, რომ სათანადო კონტროლის განხორციელების მიზნით, საჭიროა არსებობდეს დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანო, როგორც არის უმაღლესი აუდიტორული ორგანოები ან საპარლამენტო კომიტეტი. საზედამხედველო ორგანოს უნდა გააჩნდეს ყველა პირობა სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ფინანსური დოკუმენტაციის კვლევისა და შემოწმებისთვის. კერძოდ, მათ უნდა ჰქონდეთ საშუალება, შეაფასონ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების არამართო სამართლებრივი მხარე, არამედ ისიც, რეალურად შეესაბამებოდა თუ არა შესყიდვები კონკრეტული დაწესებულების მიზნებსა და საჭიროებებს. ასევე, შესაძლებელია, შესაბამისი უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ შემუშავებული ანგარიშები განხილულ იქნეს უმაღლესი აუდიტორული ორგანოების მიერ. პარლამენტის როლი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის კონტროლთან მიმართებით ასევე შეიძლება გამოხატულ იქნეს უმაღლესი აუდიტორული ორგანოების მიერ შედგენილი ანგარიშების განხილვაში, რის საფუძველზეც, საჭიროების შემთხვევაში, პარლამენტს ექნება უფლება, მოუწოდოს მთავრობას მოქმედებისა და სათანადო ზომების მიღებისაკენ.

კვლევის თანახმად, აუდიტის ჩატარების სიხშირე დადგენილი უნდა იყოს ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა არსებული რისკების ხასიათი და მოცულობა, სხვადასხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები, მათი სირთულე, საზოგადოებისათვის განსაკუთრებით საინტერესო შესყიდვები და სხვა. დაუშვებელია აუდიტის ჩატარებისათვის საჭირო მინიმალური ზღვრის დაწესება.

გამომდინარე იქიდან, რომ სახელმწიფო შესყიდვების კონტროლი ხორციელდება რამდენიმე ერთმანეთისგან განსხვავებული ორგანოს მიერ, საჭიროა მათ შორის შეთანხმებული ქმედების უზრუნველყოფა, შესაძლო ხარვეზებისა და უფლებამოსილებათა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით.

მეტი თვალსაჩინოებისთვის, განვიხილოთ ბულგარეთის სახელმწიფო შესყიდვების მაკონტროლებელი სისტემა,⁷⁶ რომელიც სამი უმთავრესი ორგანოსგან შედგება:

1. სახელმწიფო აუდიტი 2. ფინანსური შემოწმების სააგენტო და 3. შიდა აუდიტი

სახელმწიფო აუდიტი - დამოუკიდებლობის თვალსაზრისით, ყველაზე მაღლა მდგომია დანარჩენ მაკონტროლებელ ორგანოებთან მიმართებით. მისი უფლებამოსილება, ძირითადად, მდგომარეობს სახელმწიფო შესყიდვების ეფექტურობის, მიზანშეწონილობისა და პროდუქტიულობის შემოწმებაში. სახელმწიფო აუდიტი კონტროლს უწევს ისეთ მნიშვნელოვან ანტიკორუფციულ სფეროებს, როგორიცაა, მაგალითად, ინტერესთა კონფლიქტი. აღსანიშნავია, რომ მისი კონტროლის მექანიზმი შეზღუდულია სამ კომპონენტში: 1. დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში, მას არ გააჩნია სანქციების დაწესების უფლებამოსილება; 2. აუდიტის ჩატარების უფლება აქვს მხოლოდ განსაზღვრულ საჯარო დაწესებულებებში; 3. ზედამხედველობას ახორციელებს მხოლოდ ყოველწლიური საფინანსო პროგრამის მიხედვით.

ფინანსური შემოწმების სააგენტო - ძირითად ორგანოს წარმოადგენს საჯარო დაწესებულების საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის კონტროლის კუთხით. ფლობს უფრო ფართო უფლებამოსილებას, ვიდრე სახელმწიფო აუდიტი, რაც გამოიხატება იმაში, რომ შეუძლია, ჩატარებული აუდიტისა და გამოვლენილი დარღვევების საფუძველზე, დააწესოს სანქციები და, ამასთანავე, კონტროლი გაუწიოს ყველა საჯარო დაწესებულებას, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო შესყიდვებს საბიუჯეტო სახსრების გამოყენებით. ფინანსური შემოწმების სააგენტოს უფლებამოსილება შეზღუდულია მხოლოდ კონტროლის მექანიზმის კუთხით. მას შეუძლია შეამოწმოს კონკრეტული სახელმწიფო შესყიდვის პროცედურის შესაბამისობა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან, ხოლო იმის დადგენა, თუ რამდენად მიზანშეწონილი და ეფექტური იყო განხორციელებული ქმედება, მისი კომპეტენციის ფარგლებში არ ხვდება.

⁷⁵ OECD Principles for Integrity in Public Procurement, 2009, გვ. 18-21, 42-51.

⁷⁶ Konstantin Pashev, Government Monitoring Association, working paper – Reducing Corruption Risks and Practices in Public Procurement: Evidence from Bulgaria, 4.2, გვ 21-22.

შიდა აუდიტი - გამომდინარე იქიდან, რომ შიდა აუდიტი წარმოადგენს შიდაორგანიზაციული სტრუქტურის შემადგენელ ნაწილს და ფლობს ყველაზე მეტ ინფორმაციას საჯარო დაწესებულებაში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების თაობაზე, მისი პრეროგატივა ყველაზე მაღალია დანარჩენ ორ მაკონტროლებელ ორგანოსთან შედარებით. შესაბამისად, ის ერთადერთი აუდიტია, რომელიც ახდენს რისკების წინასწარ შეფასებასა და ანტიკორუფციული ზომების მიღებას. მიჩნეულია, რომ შიდა აუდიტის როლი ძალიან მაღალია საშუალო დონეზე არსებული კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში. თუმცა, არ ფლობს სათანადო ძალაუფლებას, აღმოფხვრას უკანონო ზედა ემელონებში, გამომდინარე იქიდან, რომ მისი დამოუკიდებლობის ხარისხი ყველაზე დაბალია დანარჩენ მაკონტროლებელ ორგანოებთან შედარებით.

ბულგარეთის მაგალითის განხილვის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ რამდენიმე მაკონტროლებელი ორგანოს არსებობის ფონზე, რომლებიც ფუნქციონირებენ უფლებამოსილებათა დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით, შესაძლებელია ჩამოყალიბებული იქნეს სახელმწიფო შესყიდვების პროცესის მარეგულირებელი ეფექტური და წარმატებული მექანიზმი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პრინციპებისა და მათი პრაქტიკაში რეალიზების გზების განხილვის შედეგად, შესაძლებელია ცალსახად ითქვას - იმისათვის, რომ ჩამოყალიბდეს ეფექტური სახელმწიფო შესყიდვების სისტემა, საჭიროა ორი ძირითადი კომპონენტის არსებობა:

1. სათანადო რეგულირება - საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები და, ასევე, შიდა ინსტრუქციები, რომლებიც მიზნად ისახავს ეფექტური შიდაორგანიზაციული სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობას.
2. საზედამხედველო ორგანოები - რამდენიმე მაკონტროლებელი ორგანო, გამიჯნული უფლებამოსილებითა და ფუნქციური დატვირთვით, რაც შესაბამის საკანონმდებლო აქტებსა თუ ინსტრუქციებში გათვალისწინებული წესების შესრულების გარანტს წარმოადგენს.

6. დასკვნა და რეკომენდაციები

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად ირკვევა, რომ საქართველოს საჯარო დაწესებულებების აბსოლუტურ უმრავლესობაში, რომლებიც კვლევის ფარგლებში მოექცნენ, არ არსებობს ავტოსატრანსპორტო საშუალებების სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისათვის საჭირო წესების დამდგენი შიდაორგანიზაციული რეგულაცია.

საჯარო დაწესებულებების ნაწილი განხორციელებული შესყიდვების სამართლებრივ საფუძვლად სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობას ასახელებს, ნაწილი კი, მიუთითებს ისეთ სამართლებრივ აქტებზე, რომლებიც კონკრეტულ ადმინისტრაციულ ორგანოში ავტოსატრანსპორტო საშუალების ზღვრულ ოდენობასა და მათ შემდგომ გამოყენებას განსაზღვრავს, მაგრამ არ მოიცავს სახელმწიფო შესყიდვის მიზანშეწონილობისა და რაციონალურობის დადგენისათვის საჭირო დეტალურ წესებს.

შესაბამისად, მონიტორინგის არც ერთ სუბიექტს არ გააჩნია რაიმე სახის სამართლებრივი აქტი, რომელიც დაარეგულირებდა სახელმწიფო შესყიდვების საჭიროებისა და საბიუჯეტო შესაბამისობის კრიტერიუმებს არა მხოლოდ სახელმწიფო შესყიდვების გეგმის განხორციელებისას, არამედ ყველა კონკრეტული შესყიდვის შემთხვევაში.

სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის ანალიზმა, თავის მხრივ, ცხადყო არსებული რეგულირების არასრულფასოვანი ხასიათი. გარდა იმისა, რომ საკანონმდებლო ბაზა არ მოიცავს მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი პრინციპების ჩამონათვალს, როგორცაა ფულის ღირებულების საუკეთესოდ გამოყენების, ეკონომიკურად ყველაზე მომგებიანი შეთავაზების, რისკების მართვის, ეფექტური ზედამხედველობისა და სხვა პრინციპებს, ამასთანავე, განიცდის კონკრეტული დანაწესების არსებობის ნაკლებობას სახელმწიფო შესყიდვების პროცესის მიმდინარეობისას - როგორც მისი დაგეგმვის, ისე მიზნობრიობისა და საბიუჯეტო შესაბამისობის განსაზღვრის სტადიაზე.

შესაბამისად, ზოგადი ხასიათის საკანონმდებლო ბაზისა და კონკრეტული წესების დამდგენი შიდა რეგულაციების არარსებობის ფონზე, ბუნდოვანია ის კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც უნდა ხდებოდეს საჯარო დაწესებულების მიერ განხორციელებული კონკრეტული შესყიდვის რაციონალურობის დადგენა. არსებული სამართლებრივი გარემო კი, თავისთავად, ზრდის საჯარო მოხელეთა მხრიდან სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღებისა და საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივად ხარჯვის რისკს.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად დადგინდა, რომ მონიტორინგს დაქვემდებარებული სუბიექტების მიერ ბოლო **ორი წლის მანძილზე 61,439,788 ლარის, 16,545,081 დოლარისა და 110,000 ევროს ღირებულების 2146 ავტოსატრანსპორტო საშუალება იქნა შესყიდული**. ასეთი მასშტაბური თანხების ხარჯვა კიდევ ერთხელ ცალსახად მიუთითებს პრობლემის აქტუალურობასა და კონკრეტული სამართლებრივი ჩარჩოების დადგენის საჭიროებაზე.

არსებულ მოსაზრებას, დეტალურ რეგულირებასთან დაკავშირებით, კიდევ ერთხელ ამყარებს საერთაშორისო

გამოცდილების შესწავლა, რომლის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვები, იქნება ეს ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენა თუ რაიმე სხვა, უნდა ხორციელდებოდეს მკაცრად განსაზღვრული წესების, წინასწარ ჩამოყალიბებული კრიტერიუმებისა და შესაბამისად დანერგილი პროცედურის ფონზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუძლებელი იქნება იმ ფუნდამენტური პრინციპების პრაქტიკაში რეალიზება, რომლებიც ეფექტური სახელმწიფო შესყიდვების სისტემის არსებობის გარანტს წარმოადგენს.


ცალკე უნდა აღინიშნოს კვლევაზე მუშაობის დროს ავტოსატრანსპორტო საშუალებების უსასყიდლოდ გადაცემის შემთხვევები. კვლევაში განხილული მაგალითები და დანართების სახით წარმოდგენილი ინფორმაცია ცხადყოფს, რომ აღნიშნული საკითხი შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან დამატებით შესწავლას საჭიროებს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალებების უსასყიდლოდ გადაცემის არაერთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი როგორც ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის, ისე კერძო პირების მხრიდან სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოსადმი, განსაკუთრებით კი, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან მიმართებით.

ჩატარებულ კვლევაზე დაყრდნობით, შესაძლებელია ცალსახად ითქვას, რომ ეფექტური სახელმწიფო შესყიდვების სისტემის ჩამოყალიბებისათვის საჭიროა სათანადო რეგულირების არსებობა, რაც გულისხმობს არა მხოლოდ საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებს, არამედ კონკრეტული ხასიათის შიდა ინსტრუქციებსაც, რომელთა მიზანია ეფექტური შიდაორგანიზაციული სისტემის ჩამოყალიბება უფლებამოსილებათა დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით. უნდა აღინიშნოს, რომ დასახული მიზნის მისაღწევად, მაღალია საზედამხედველო ორგანოების როლი, რადგან მაკონტროლებელი ორგანო, გამიჯნული უფლებამოსილებითა და ფუნქციური დატვირთვით, შესაბამის საკანონმდებლო აქტებსა თუ ინსტრუქციებში გათვალისწინებული წესების შესრულების გარანტს წარმოადგენს.

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევისა და ანალიზის შედეგად, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ ჩამოაყალიბა შემდეგი მნიშვნელოვანი რეკომენდაციები:


- უნდა მოწესრიგდეს საკანონმდებლო ბაზა და სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მიერ განისაზღვროს სამართლებრივი ჩარჩო, რომელსაც ექნება ინსტრუქციის ხასიათი და დაადგენს სახელმწიფო შესყიდვების პროცესის მარეგულირებელ კონკრეტულ წესებს. აღნიშნული სამართლებრივი აქტი საერთო უნდა იყოს ყველა საჯარო დაწესებულებისათვის და უნდა მოიცავდეს ყველა იმ პრინციპს, რომელიც აღნიშნულ იქნა კვლევის მანძილზე. კერძოდ, ცალსახად და დეტალურად უნდა განისაზღვროს შესყიდვების გეგმაში შესატანი კომპონენტები, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული კრიტერიუმები (დაბალი ფასისა და ეკონომიკურად ყველაზე მომგებიანი შეთავაზების პრინციპი) საზედამხედველო ორგანოები, მათი ფუნქციები, სტრუქტურა, უფლებამოსილების ფარგლები და სხვა.
- აღნიშნული აქტის საფუძველზე და მის შესასრულებლად უწყებებმა უნდა ჩამოაყალიბონ შიდა ორგანიზაციული რეგულაციები, რომლებიც სხვადასხვა იქნება ყველა საჯარო დაწესებულებისათვის და დეტალურად განსაზღვრავს ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენის ყველა პროცედურულ ეტაპს. აღნიშნული რეგულაცია უნდა მოიცავდეს სპეციალურ წესებს აღნიშნული სახელმწიფო შესყიდვების საჭიროების შეფასებასთან, საბიუჯეტო სახსრების შესაბამისობის განსაზღვრასა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით, ასევე უნდა განისაზღვროს შესყიდვების პროცესში ჩართული ყველა მოხელის უფლებამოსილების ფარგლები, დადგინდეს ეკონომიკური ლიმიტები დაწესებულების საბიუჯეტო სახსრების გათვალისწინებით, ჩამოაყალიბდეს რისკების მართვის მექანიზმი და სხვა.

2011 წლის 1 იანვრიდან მონიტორინგის სუბიექტების მიერ შესყიდული ავტოსატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა წლების მიხედვით




მონიტორინგის სუბიექტების მიერ საანგარიშო პერიოდში შესყიდული ავტოსატრანსპორტო საშუალებებში გადახდილი თანხის ოდენობა

■ თანხა (ლარებში)




მონიტორინგის სუბიექტების მიერ საანგარიშო პერიოდში შესყიდული ავტოსატრანსპორტო საშუალებები

■ ავტოსატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა




მონიტორინგის სუბიექტების მიერ საანგარიშო პერიოდში ჩუქების სახით და უსასყიდლოდ მიღებული ავტოსატრანსპორტო საშუალებები


■ ავტოსატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა



10 ყველაზე ძვირი მსუბუქი ავტომობილი



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შეძენილი 10 ყველაზე ძვირი მსუბუქი ავტომობილი



7. REGULATIONS FOR PROCUREMENT OF MOTOR VEHICLES BY PUBLIC AGENCIES

(Current practice in Georgia and international experience)

(SHORT VERSION)

Introduction

Contents and Goals of the Research

For this research it was the goal of GYLA to find out the amount of funds used by public agencies for procurement of motor vehicles as well as whether in addition to the Law of Georgia on Public Procurement there are any types of legal regulations (including internal regulations within an agency) that apply procurement of motor vehicles.

The research contains information about motor vehicles procured and received as gifts by Georgian state agencies. Part of the research offers an overview of international experience in procurement of motor vehicles and procurement in general.

The research covers the period from January 1, 2011 through June 17, 2013.¹

Research Methodology

In terms of methodology, the research is mostly based on the analysis of public information provided by various administrative agencies as well as applicable legal base, while the overview of international experience is founded on the information available through web-resources.

Obstacles to Research

Obstacles that we faced during the research are mostly related to provision of access to public information by state agencies. Applications requesting the access were mostly ignored, while in a number of cases information provided was incomplete. Therefore, in order to gain access to the public information needed GYLA was forced to utilize a variety of legal leverage.

Notably, it was particularly challenging to obtain access to information maintained by the presidential administration and the Ministry of Internal Affairs of Georgia.

Key Findings

GYLA's research has revealed a number of important facts; in particular,

- The public agencies examined do not have any legal acts that would determine regulations for procurement of motor vehicles, while part of the administrative agencies cite the law on public procurement for purchases of motor vehicles and others cite legal acts that do not apply to similar issues.
- Starting from January 2011, targets of the monitoring procured 2146 motor vehicles with the total value of GEL 61 439 788, USD 16 545 and EUR 110 000.²
- The research has identified a trend of gifting expansive motor vehicles free of charge both between public agencies themselves and between a natural or legal entities of private/public law and administrative agencies.
- In view of international experience, the law of Georgia on public procurement is a general legal act. In absence of specific stipulations it fails to ensure the realization of all principles in practice that are very important in the process of public procurement.
- Based on the international experience it was found that purposefulness of public procurement and budget compliance is achieved by means of internal organizational structure and regulations, while according to the research majority of public agencies in Georgia could not find any such legal document.

¹ For the Interior Ministry the report covers the period from January 1, 2011 to August 8, 2011, and the period from January 1 to August 12, 2011 for the presidential administration.

²Notably, out of the total sum of GEL 32 888 365, GEL 16 545 081 and EUR 110 000 was spent by the Ministry of Internal Affairs.

Legal base that applies to procurement of motor vehicles

During the research we examined and analyzed the legal base that guides public agencies in the process of procurement of motor vehicles. Consequently, we examined in details the law of Georgia on Public Procurement and various sublegal acts based on the law, as well as the law of Georgia on State Property.

GYLA also tried to find out whether the president of Georgia or the Government of Georgia had adopted any legal acts about procurement of motor vehicles but did not find any such acts.

Notably, the analysis of applicable Georgian legal base was crucial for comparing it to international practice and finding similarities and differences.

Administrative agencies and motor vehicles received as gifts

During the research we requested public information about motor vehicles both received as gifts and purchased. Based on the information received from various agencies we identified the following two types of trends:

1. Free of charge transfer of motor vehicles between public agencies – in this respect should be noted the Government Chancellery of Georgia and the Ministry of Finance of Georgia.
2. Legal relations where parties are represented by entities of natural or private/public law on the one hand and various public agencies (mostly the Ministry of Internal Affairs of Georgia) on the other;

